კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

საბა ჭოველიძე

დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმები და უსაფრთხოების სექტორის გამოწვევები - აშშ-ს მაგალითზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნიკა ჩიტაძე

გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი - 2020

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში მკითხველი გაეცნობა აშშ-ში დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის თემატიკას და მიიღებს პასუხებს ისეთ შეკითხვებზე როგორებიცაა - ვინ, რა, როდის, როგორ და რატომ? აქვე გაეცნობა ნაშრომის სხვა თავებსაც, რომლებშიც განხილულია სხვადასხვა საინტერესო საკითხები დაზვერვის სამსახურების აქტივობების შესახებ.

სამეცნიერო ნაშრომი იწყება შეერთებული შტატების უსაფრთხოების სექტორის მიმოხილვით, რომელშიც აღწერილია ის ორგანიზაციები და სადაზვერვო სამსახურები, რომლებიც მთავარ როლს ასრულებენ „აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოების“ ფუნქციონირების პროცესში. შემდგომ, ქვეთავში საუბარია „პატრიოტის აქტზე“ და მის პოლიტიკურ-სამართლებრივ ასპექტებზე. აგრეთვე ნაშრომი შეეხება, დაზვერვაზე ზედამხედველობის განხორციელების მნიშვნელოვანი დეტალებს და ამ პროცესებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ორგანიზაციებს. ამასთანავე, განმარტებულია სადაზვერვი ოპერაციების რაობა და მათი შესაძლო ნეგატიური გავლენა ადამიანის უფლებებზე.

Annotation

Political and Legislative Mechanisms of Oversight of The Intelligence Services and The Security Sector Challenges – the U.S. case.

Saba Chovelidze

In this study, the reader will be introduced to the topic of surveillance of intelligence services in the United States and will receive answers to questions such as - who, what, when, how and why. Here you will find other chapters of the paper, which discuss various interesting issues related to the activities of intelligence services.

The study begins with an overview of the United States security sector, which describes the organizations and intelligence services that play a key role in the functioning of the US intelligence community(IC). Later, the subsection discusses the "Patriot Act of US" and its political and legal aspects. The paper also touches on important details of intelligence surveillance and important organizations involved in these processes. In addition, the nature of intelligence operations and their possible negative impact on human rights are explained.

სარჩევი

ანოტაცია.....2

Annotation.....3

შესავალი.....5

I თავი: აშშ-ს უსაფრთხოების სექტორის რაობა და მნიშვნელობა.....11

1.1. აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოება - ძირითადი ფუნქციები და მახასიათებლები 11

1.2. „პატრიოტის აქტი“ და მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები.....16

II თავი: დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელების *პოლიტიკური* ასპექტები. 25

1.1. აშშ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა: ისტორია და თანამედროვეობა. 25

1.2. დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის მნიშვნელობა და რაობა.....32

1.3 კონგრესის როლი „აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოებაზე“ ზედამხედველობის პროცესში.....37

III თავი: აშშ-ის დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელების *სამართლებრივი* ასპექტები. 42

1.1 ზედამხედველობის პროცესში მოქმედი აქტორები და მათი როლი. 42

1.2. ინფორმაციის შეგროვების კონტროლი და მასზე ზედამხედველობის სპეციფიკა.....52

1.3 დაზვერვის სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემების გამოყენების რისკები და სამართლებრივი საფუძვლები 56

დასკვნა 59

გამოყენებული ლიტერატურა 64

შესავალი

უსაფრთხოების სექტორი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სახელმწიფოს შენების პროცესში. შეერთებულ შტატებში დაწყებულმა რეფორმებმა, 1980-იან წლებში, თითქმის სრულად გარდაქმნა აღნიშნული სექტორის პოლიტიკური თუ სამართლებრივი სტრუქტურა. აშშ-ს თანამედროვე უსაფრთხოების გარემოს ფორმირება სწპრედ ამ დროიდან დაიწყო და ეროვნული უსაფრთხოების და ინტერესების უზრუნველყოფის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა „აშშ-ს სადაზვერვი საზოგადოებას“(IC) და მის გამართულად ფუნქციონირებას.

აშშ-ს 2001 წლის , 11 სექტემბრის ტერაქტების შემდგომ კონგრესის მიერ მიღებულმა „პატრიოტის აქტმა“ სრულიად ახალი რეალობის წინაშე დააყენა, როგორც თავად აშშ სახელმწიფო და ამერიკული საზოგადოება, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოც. ამ აქტმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ისეთი სენსიტიური საკითხების წინ წამოწევა, როგორიც არის ადამიანის უფლებები და მათზე შესაძლო ნეგატიური ზეგავლენა, რომელიც ხორციელდება დაზვერვის სამსახურების მხრიდან.

თემის აქტუალობა: დაზვერვის სექტორი უმნიშვნელოვანესი საფეხურია დემოკრატიზაციისა და უსაფრთხოების სექტორის ფორმირების პროცესში. არაერთი აღიარებული დემოკრატიული ქვეყნის მაგალითიდან ვიცით, რომ მართვის დემოკრატიული პრინციპი და კანონის უზენაესობა დაზვერვის სექტორს სხვა სექტორებთან შედარებით გვიან შეეხო. დაზვერვის სამსახურების რიგი ქმედებები არ ადაპტირდებოდა კანონიერ და დემოკრატიულ პროცესებთან. დღემდე არსებობს და განხილვის საგანია არაერთი რეზონანსული შემთხვევა აშშ-ს მაგალითზე, რომელშიც საზოგადოების ფართო ნაწილი ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების პრინციპების შელახვას ხედავს, სწორედ ამიტომ გაჩნდა საკითხის შესწავლისა და ღირებულებათა გადაფასების საჭიროება.

თემის მიზნები:

- აშშ-ში უსაფრთხოების სექტორში არსებული პოლიტიკური რეალობის წარმოჩენა.
- კონგრესის როლის გაანალიზება დაზვერვის სამსახურებზე უსაფრთხოების კონტექსტში.
- აშშ-ს „პატრიოტის აქტის“ გავლენის წარმოჩენა,როგორც ეროვნულ ისე გლობალურ უსაფრთხოებაზე.

თემის ამოცანები :

- არსებული პოლიტიკური ვითარების შეფასება ამერიკულ სპეცსამსახურებზე საკანონმდებლო ზედამხედველობის ჭრილში.
- სპეცსამსახურების გაზრდილი უფლებამოსილებების, თანხვედრის ანალიზი ადამიანის უფლებებთან.
- აღნიშნულ სამსახურებზე ზედამხედველობითი ზომების გაზრდის საჭიროების განსაზღვრა.

საკვლევი კითხვები:

1. რას წარმოადგენს აშშ უსაფრთხოების სამსახურების ძირითადი ფუნქცია და რა არის მისი მახასიათებელი?
2. რატომ არის მნიშვნელოვანი უსაფრთხოების სექტორის ზედახმედველობა?
3. რა გარემოებები აფერხებს აშშ-ს დაზვერვის სამსახურებზე, ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებას?
4. რა გავლენა აქვს ინფორმაციის შეგროვებას ადამიანის უფლებებზე?

ჰიპოთეზა: H(1)თანამედროვე პერიოდში სადაზვერვო სამსახურების რიგი ქმედებების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არაერთხელ დადგა. აშშ-ში უკვე ათეული წლებია აქტიურად მიმდინარეობს საზოგადოების სამეცნიერო ნაწილში, იურისტებსა და პოლიტიკოსებს შორის კამათი, ამერიკული სადაზვერვო სამსახურების მიერ განხორციელებული თვალთვალისა თუ სხვა პრაქტიკული საქმიანობების სამართლებრივი ჩარჩოს ხარვეზების შესახებ. ამ მიზეზების გათვალისწინებით კი საზოგადოებაში გაჩნდა განცდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „უსმენს და უთვალთვალებს ყველას - ყველგან“.

H(2) აშშ-ი 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტის შემდეგ, კონგრესმა დაამტკიცა ე.წ „პატრიოტის აქტი'' რომელიც ამერიკული სპეცსამსახურებისთვის დამატებითი ფუნქციების მინიჭებას ითვალისწინებდა, რომლითაც მათ მოეხსნათ ფორმალური ბარიერები და შესუსტდა კანონის მკაცრი მოთხოვნები როგორც თვალთვალზე, ასევე პირადი ინფორმაციის შეგროვებაზე. შესაბამისად ეჭვგარეშეა, რომ აუცილებელია დღემდე არსებული პრობლემების მიზეზთა ძიება და მათი გადაჭრის გზების შესახებ კონსოლიდირება. სპეცსამსახურებზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება, ვინაიდან ეს ეხება არამხოლოდ აშშ-ს, არამედ გლობალურ უსაფრთხოებას.

საკვლევი საგანი და ობიექტი

- **კვლევის საგანი:** აშშ-ს უსაფრთხოების გარემო და დაზვერვის სამსახურების ძირითადი პრიორიტეტები.
- **კვლევის ობიექტი:** წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების სექტორზე, პოლიტიკური და სამართლებრივი ზედამხედვეობის მექანიზმების ანალიზი და მათი განხილვა, უსაფრთხოების სექტორის სფეროში მოქმედი სტრუქტურების ურთიერთქმედება და ა.შ.

მოცემული კვლევა ეფუძვნება საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ სხვადასხვა თეორიებს, რომელთაგან გამოვყოფ შემდეგს:

- **ძალთა ბალანსის თეორია** - ამ კონცეფციის მიხედით, იმის გამო რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, თითოეული სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისთვის და თვითდამკვიდრებისთვის.

- **თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია** - უკავშირდება ამერიკელ მკვლევარს რიჩარდ კოენს. სახელმწიფოები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ოფიციალური და არაოფიციალური კავშირებით და ინსტიტუტებით, რომელთაც საერთო ფასეულობები გააჩნიათ. აგრეთვე ახორციელებენ თანამშრომლობას სამხედრო სფეროში.

- **„სექიურითიზაციის კონცეფცია“** - რომელიც უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას, რომლის ავტორები არიან ოლი ვივერი და ბარი ბუზანი, ისინი კონსტრუქტივიზმის თეორიის წიაღში, საზოგადოების ჩართულობას ითვალისწინებენს.

- **ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია** - უკავშირდება პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციას და მოიცავს სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორის შესახებ ძირითად გადაწყვეტილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოსა და საზოგადოების საგარეო და საშინაო უსაფრთხოებაზე. გვთავაზობს სამხედრო დოქტრინის ორიენტირებს და ვითარდება საერთაშორისო და რეგიონული რეგულაციების ჩარჩოში.

- **საგარეო პოლიტიკის ბიუროკრატიული თეორია** - ორგანიზაციის თეორიის იდეებს ეფუძნება, რასაც ემატება იმის აღიარება, რომ დაკვირვების ქვეშ მყოფი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, ყოველთვის წარმოადგენს მისი შემუშავების სფეროში ჩართული ცალკეული უწყებების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი განხორციელების რთული ურთიერთობების შედეგს. თითოეული ასეთი უწყება განიცდის ლობირებას გარედან და უწყებებს შორის არსებული კონფლიქტების, ინტერესთა შეჯახების, ხელმძღვანელთა ამბიციების მდგომარეობაში მოქმედებს. ეს რთული ურთიერთქმედებები ან ძალაუფლების განაწილების სისტემას (დემოკრატიებში), ან კარის ინტრიგების (ავტორიტარული და ტოტალიტარული პოლიტიკური მოწყობის პირობებში)

სისტემებსაა მორგებული. კონკრეტული პოლიტიკური კურსის ირგვლივ მოცემული პოლიტიკურ-ბიუროკრატიული თამაშების პრაქტიკა და ტექნოლოგია შესაბამისი მეთოდების გზით აღწერილია ჰ. კისინჯერის, ი. დესტლერის, რ. აკსელროდის, დ. დეივისის, გ. ალისონის, მ. ჰელფერინის და სხვათა ნაშრომებში.

- **შეიარაღებული ძალების ოთხი ამოცანის თეორია** - უკავშირდება ნეორეალიზმის სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენლის, რობერტ არტის სახელს. აღნიშნული თეორია პირდაპირ კავშირშია თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოსთან. თეორეტიკოსი ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ სახელმწიფოები ეროვნული ინტერესების მისაღწევად სულ უფრო მეტად ეყრდნობიან სამხედრო ძალაუფლებას და შესაბამისად ისახავენ ოთხ ამოცანას: თავდაცვა, შეკავება, იძულება და ტრაბახი.

კვლევის მეთოდები:

- ისტორიულ აღწერილობითი
- კონტენტ ანალიზი
- პროცესების შედარებითი ანალიზი
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი
- მონოგრაფიული გამოკვლევა

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი გამოადგება და დაინტერესებს საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების სექტორით დაინტერესებულ ყველა ანალიტიკოსს, საერთაშორისო უსაფრთხოების მკვლევარს. აგრეთვე, მათ ვინც იკვლევს ან სწავლობს უსაფრთხოების სექტორში არსებული ადამიანის უფლებების სამართლებრივ სტატუს-ქუოს. ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია საბაკალავრო პროგრამაში. ის შესაძლოა გახდეს გარკვეული

გზამკვლევი შესაბამისი უწყებების (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, დაზვერვის სამსახური ან/და საკანონმდებლო ორგანოსი) ლოკალურ-რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში.

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი წიგნები, რომლებშიც მიმოხილულია მსოფლიო თეორია და პრაქტიკა დაზვერვის სამსახურების სტრუქტურაზე და მათზე ზედამხედველობის განხორციელების სხვადასხვა მექანიზმებზე . ასევე სტატიები და სხვა ნაშრომები, რომელიც აღნიშნულ თემატიკას ეხება. ესენია:

- **ჰანს ბორნი და იან ლი: დაზვერვის ანგარიშვალდებულების დანერგვა: სადაზვერვო სამსახურებზე ზედამხედველობის სამართლებრივი სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა - Publishing house of Parliament of Norway, Oslo 2005 –** ავტორები აღნიშნულ ნაშრომში განიხილავენ დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის სამართლებრივ ნაწილს, რომელიც მოიცავს პრაქტიკულ სახელმძღვანელოსაც. განხილულია სტანდარტები რომლითაც რეგულირდება უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობა.

- **ფილიპ ფლიური და ანდრეს ბ. ჯონსონი: Parliamentary Control over the Security Sector: Principles, Mechanisms and Practice. DCAF, Geneva 2003** - ავტორები ზემოთაღნიშნულ ნაშრომში განიხილავენ უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის პოლიტიკურ-სამართლებრივ კომპონენტებს. პარლამენტების და კომიტეტების როლი ძალოვან უწყებებზე ზედამხედველობის პროცესში

- **თეოდორა ფუიორი: უსაფრთხოების სექტორის მართვის საპარლამენტო უფლებამოსილებები. Geneva Centre for Security Sector Governance, GENEVA 2013** – ნაშრომში განხილულია საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მნიშვნელობა უსაფრთხოების სექტორზე, დემოკრატიის პირობებში, ვინაიდან უსაფრთხოების სფერო საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენს ბევრი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნისთვის.

I თავი: აშშ-ს უსაფრთხოების სექტორის რაობა და მნიშვნელობა

აშშ-ს უსაფრთხოების სექტორი მოიცავს ყველა იმ ინსტიტუტს, რომლის მოვალეობაა დაიცვას საზოგადოება დანაშაულისგან, ძალადობისგან და უწესრიგობისგან. ამ ინსტიტუტებს მიეკუთვნება: სამართალდამცავი ორგანოები (პოლიცია, საგამოძიებო სამსახურები, საზღვრის დაცვის სამსახურები, სასჯელაღსრულების დაწესებულებები) აგრეთვე დაზვერვის სამსახურები (აშშ დაზვერვის სამსახურების თანამეგობრობა), ამ ორგანოების სამოქალქო პერსონალი, საგანმანათლებლო და სასწავლო ცენტრები, ლოჯისტიკის სამსახურები, და რა თქმა უნდა შეიარაღებული ძალები, თავისი სამოქალაქო პერსონალით.

უსაფრთხოების სექტორში მოქმედი აქტორები, თავისი არსით რეაგირებენ საზოგადოების განსაკუთრებულ საჭიროებებზე და უზრუნველყოფენ უსაფრთხოების, როგორც საჯარო პროდუქტის მიწოდებას საზოგადოებისთვის. უსაფრთხოების სექტორში შესაძლოა ასევე მოიაზრებოდეს კერძო სუბიექტები, რომლებსაც მკაფიოდ დაკონკრეტებული და შეზღუდული როლი აქვს საკუთრების დაცვასა და ქურდობის პრევენციაში. ამასთან, აშშ-ს სადაზვერვო სამსახურები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ სხვა და სხვა სახის საფრთხეების იდენტიფიკაციაში. და მოიცავენ როგორც შიდა და საგარეო აგრეთვე კონტრდაზვერვის სამსახურებს.

1.1. აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოება - ძირითადი ფუნქციები და მახასიათებლები

1981 წლის 4 დეკემბერს, N/12333 აღმასრულებელი ბრძანების საფუძველზე, ჩამოყალიბდა შეერთებული შტატების სადაზვერვო საზოგადოება (ინგლ. Intelligence Community. IC) აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა. “IC” წარმოადგენს აშშ-ს სამთავრობო სადაზვერვო სააგენტოების ცალკეულ,

დაქვემდებარებული ორგანიზაციების ჯგუფს, რომლებიც მუშაობენ როგორც დამოუკიდებლად ისე ერთობლივად სადაზვერვო საქმიანობის წარმართვისას, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის და ეროვნული უსაფრთხოების მხარდასაჭერად. IC - ამჟამად მოიცავს 17 წევრ ორგანიზაციას: სამხედრო დაზვერვას, სადაზვერვო სააგენტოებს, სამოქალაქო დაზვერვისა და ანალიზის აპარატებს ფედერალური განყოფილებების შიგნით. „IC-ს“ ზედამხედველობს ეროვნული დაზვერვის დირექტორის აპარატი (ინგლ. Office of the Director of National Intelligence. ODNI), რომელსაც თავად ხელმძღვანელობს ეროვნული დაზვერვის დირექტორი (ინგლ. director of national intelligence. DNI), რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინაშე.

მათ მრავალფეროვან პასუხისმგებლობათა შორის აღსანიშნავია რომ, „აშშ სადაზვერვო საზოგადოების“ წევრები აწარმოებენ საგარეო და საშინაო დაზვერვას, მონაწილეობას იღებენ სამხედრო დაგეგმარებებში და ასრულებენ ჯაშუშობის ოპერაციებს.

IC - ახორციელებს ორ ცალკეულ პროგრამას:

- **ეროვნული სადაზვერვო პროგრამა** (ინგლ. National Intelligence program. NIP), ადრე ცნობილი იყო როგორც ეროვნული საგარეო დაზვერვის პროგრამა, როგორც ეს განსაზღვრულია 1947 წლის ეროვნული უსაფრთხოების აქტით. იგი "ეხება სადაზვერვო საზოგადოების ყველა პროგრამას, პროექტს და საქმიანობას, ისევე როგორც სხვა პროგრამები, რომლებიც ერთობლივად არის დამტკიცებული ეროვნული დაზვერვის დირექტორის (DNI) და შეერთებული შტატების დეპარტამენტის ან სააგენტოს უფროსის ან პრეზიდენტის მიერ. შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მიერ ტაქტიკური სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით” [1]. კანონის თანახმად, DNI პასუხისმგებელია NIP- ის ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობაზე, თუმცა ამის გაკეთების შესაძლებლობა შეზღუდულია ორგანიზაციული სტრუქტურის თავისებურების გამო.

[1] The National Security Act of 1947 – July 26, 1947 Public Law 253, 80th Congress; Chapter 343, 1st Session; S. 758.

- **სამხედრო სადაზვერვო პროგრამა** (ინგლ. Military Intelligence Program. MIP) ეხება სამხედრო დეპარტამენტების პროგრამებს, პროექტებს ან საქმიანობას, სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მიზნით და ხორციელდება მხოლოდ შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მიერ ტაქტიკური სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისა და ჩატარებისთვის. MIP-ს ხელმძღვანელობს და აკონტროლებს თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

წევრი ორგანიზაციები

აშშ სადაზვერვო საზოგადოება შედგება შემდეგი 17 ორგანიზაციისაგან:

- ორი დამოუკიდებელი სააგენტო - ეროვნული დაზვერვის დირექტორის აპარატი (ODNI) და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (CIA);
- თავდაცვის დეპარტამენტის რვა წარმომადგენლობა - თავდაცვის სადაზვერვო სააგენტო (DIA), ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო (NSA), ეროვნული სამეცნიერო-სადაზვერვო სააგენტო (NGA), რეკონსტრუქციის ეროვნული სამსახური (NRO) და თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ოთხი ელემენტი: არმია, საზღვაო ძალები, საზღვაო ქვეითები და საჰაერო ძალები.
- სხვა დანარჩენი დეპარტამენტებისა და სააგენტოების შვიდი ელემენტი - ენერგეტიკის დეპარტამენტის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახური (OICI),; „სამშობლოს დაცვის“ დეპარტამენტის დაზვერვისა (DHS) და ანალიზის აპარატი და აშშ-ს სანაპირო დაცვის დაზვერვა(CG-2); იუსტიციის დეპარტამენტის გამოძიების ფედერალური ბიურო (FBI) და ნარკომანიის სააგენტოს ეროვნული უსაფრთხოების დაზვერვის ოფისი (DEA); სახელმწიფო დეპარტამენტის დაზვერვისა და კვლევის ბიურო (INR); და ხაზინის დაზვერვისა და ანალიზის ოფისი (OIA).

ჩამოთვლილი ორგანიზაციებიდან, ჩვენი კვლევაში განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს წარმოადგენს რამოდენიმე მათგანი, ესენია:

საჯარისო დაზვერვის სამსახური

საჯარისო დაზვერვა (G-2) პასუხისმგებელია არმიის დეპარტამენტის პოლიტიკის ფორმირებაზე, დაგეგმვაზე, პროგრამირებაზე, ბიუჯეტის შედგენაზე, მენეჯმენტზე, პერსონალის მართვაზე, შეფასებასა და სადაზვერვო საქმიანობის ზედამხედველობაზე. G-2 პასუხისმგებელია ჯარის შემადგენლობაში არსებული ხუთი ძირითადი სამხედრო დაზვერვის (MI) დისციპლინების საერთო კოორდინირებაზე: გამოსახულებითი დაზვერვა; სიგნალების და სიხშირული დაზვერვა; ადამიანის დაზვერვა; გაზომვა და საკავშირო დაზვერვა (MASINT); კონტრდაზვერვა და უსაფრთხოების კონტრმექანიზმები.

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (CIA)

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) ევალება ეროვნული უსაფრთხოების დაზვერვის წარმოება და ინფორმაციის აშშ-ს უმაღლესი „პოლისმეიკერებისთვის“ მიწოდება. CIA- ს დირექტორს წარადგენს პრეზიდენტი და ამტკიცებს სენატი. დირექტორი ხელმძღვანელობს CIA- ს ოპერაციებს, პერსონალს და ბიუჯეტს. CIA დაყოფილია შვიდ ძირითად კომპონენტად: ანალიზის დირექტორატი, ოპერაციების დირექტორატი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი, მხარდაჭერის დირექტორატი, ციფრული ინოვაციების დეპარტამენტი, მისიების ცენტრები და დირექტორის აპარატები. ისინი ახორციელებენ ე.წ „სადაზვერვო ციკლს“, სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და განაწილების პროცესს აშშ-ს მთავრობის მაღალჩინოსნებისთვის.

„სამშობლოს დაცვის“ დეპარტამენტი

სამშობლოს დაცვის დეპარტამენტის დაზვერვისა და ანალიზის ოფისს ევალება მრავალი წყაროდან ინფორმაციის შეგროვება და მათი გამოყენება, დაზვერვისას მიმდინარე და სამომავლო საფრთხეების იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის, ორიენტირებულია ოთხ სტრატეგიულ სფეროზე: საფრთხეების იდენტიფიკაცია სადაზვერვო ანალიზის საშუალებით; შეაგროვოს ინფორმაცია რომელიც ეხება

სამშობლოს უსაფრთხოებას; სამოქმედოდ საჭირო ინფორმაციის გაზიარება; და მართოს დაზვერვა „სამშობლოს დაცვის“ შეუფერხებლად წარმოებისთვის.

გამოძიების ფედერალური ბიურო (FBI)

FBI, როგორც სადაზვერვო და სამართალდამცავი სააგენტო, პასუხისმგებელია აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული საფრთხის გაანალიზებაზე ან მოსალოდნელის გამოვლენაზე. მისი მიზანია შეაღწიოს ეროვნულ და ტრანსნაციონალურ ქსელებში, რომელსაც აქვს სურვილი ან/და შესაძლებლობა, ნებისმიერი სახით დააზიანოს ამერიკის შეერთებული შტატები. სადაზვერვო დანაყოფი არის FBI- ს სადაზვერვო პროგრამის სტრატეგიული ლიდერი და თანამშრომლობენ დაზვერვისა და სხვა ოპერაციების სრულყოფილი ინტეგრაციის მისაღწევად. ის პროაქტიურად თანამშრომლობს ბიუროს პარტნიორ სადაზვერვო და სამართალდამცავ უწყებებთან.

ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო / ცენტრალური უსაფრთხოების სამსახური (NSA)

ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ცენტრალური უსაფრთხოების სამსახური არის ქვეყნის კრიპტოლოგიური ორგანიზაცია[2], რომელიც კოორდინაციას უწევს და ახორციელებს უაღრესად სპეციალიზებულ საქმიანობას აშშ-ს ინფორმაციული სისტემების დასაცავად და უცხოური სიგნალების სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისთვის.

მაღალტექნოლოგიური ორგანიზაცია, NSA კომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების წინა რიგში დგას. NSA ასევე არის აშშ – ს მთავრობაში უცხო ენების ანალიზისა და კვლევის ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი და ცნობილია, რომ ის მათემატიკოსთა უდიდესი დამსაქმებელია აშშ – ში და ალბათ მსოფლიოშიც. იგი დაარსდა 1952 წელს, NSA არის თავდაცვის დეპარტამენტის ნაწილი და აშშ სადაზვერვო საზოგადოების წევრი. სააგენტო მხარს უჭერს სამხედრო მოსამსახურეებს, ეროვნული პოლიტიკის შემქმნელებს და ანტიტერორიზმისა და კონტრდაზვერვის საზოგადოებებს, ისევე როგორც მნიშვნელოვან საერთაშორისო

[2] National Security Agency/Central Security Service – Transition 2001. NSA/CSS manual 123. December 2000.

მოკავშირეებს. მისი სამუშაო ძალა წარმოადგენს სპეციალობების არაჩვეულებრივ კომბინაციას: ანალიტიკოსებს, ინჟინრებს, ფიზიკოსებს, მათემატიკოსებს, ენათმეცნიერებს, კომპიუტერულ მეცნიერებს, მკვლევარებს, აგრეთვე მომხმარებელთა ურთიერთობის სპეციალისტებს, უსაფრთხოების ოფიცრებს, მონაცემთა ნაკადის ექსპერტებს, მენეჯერებს, ადმინისტრაციულ ოფიცრებსა და სასულიერო ასისტენტებს.

სახელმწიფო დეპარტამენტი (INR)

დაზვერვისა და კვლევის ბიურო ანგარიშვალდებულია მიაწოდოს ობიექტურ ანალიზის საფუძველზე მიღებული გლობალურ მოვლენების შესახებ სადაზვერვო ინფორმაცია სახელწიფო მდივანს. ბიურო წარმოადგენს სახელმწიფო დეპარტამენტის საყრდენ ობიექტს „შეერთებული შტატების სადაზვერვო საზოგადოების“ პოლიტიკის საკითხისა და ორგანიზაციის საქმიანობის პროცესში. INR– ის მდივნის თანაშემწე უშუალოდ ანგარიშვალდებულია სახელმწიფო მდივანის წინაშე და გამწესებულია როგორც სახელმწიფო მდივნის მთავარი მრჩეველი დაზვერვის საკითხებში. სახელმწიფო დეპარტამენტის ძლიერი რეგიონალური და ფუნქციური სტრუქტურა საშუალებას აძლევს მთავრობას სწრაფად რეაგირდნენ პოლიტიკის პრიორიტეტების შეცვლასთან დაკავშირებით და უზრუნველყონ ადრეული გაფრთხილება და სიღრმისეული ანალიზი იმ მოვლენებისა და ტენდენციების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ აშშ-ს საგარეო პოლიტიკასა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებზე.

1.2. „პატრიოტის აქტი“ და მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები

აშშ-ს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული შეტევის შემდეგ, ფედერალური ანტოტერორისტული გამოძიების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებულ იქნა “პატრიოტის აქტი”. ის მიზანად ისახავდა, ამერიკულ სპეცსამსახურებისთვის ფორმალური ბარიერების მოხსნას და კანონის მკაცრი მოთხოვნების შერბილებას. კერძოდ მათ შესუსტებას, რომლებიც ეხებოდა სატელეფონო მოსმენებს, მეტა-ინფორმაციის შეგროვებას, მოქალაქეებზე თვალთვალს და ა.შ.

“პატრიოტის აქტი”, აშშ-ის სპეცსამსახურებისთვის დამატებით 12-მდე ფუნქციის მინიჭებას ან ძველი ფუნქციების გაძლიერებას ითვალისწინებდა. აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოება (IC), 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, მეცნიერების და საზოგადოების მხრიდან შეირაცხა მთავარ დამნაშავედ ტერორისტული აქტის ვერ აღკვეთის და აშშ-ს სახელმწიფოს არასათანადოდ დაცვის საქმეში. ამის საპასუხოდ, მისი ლიდერები ცდილობდნენ შეემუშავებინათ სისტემა, რომელიც თავიდან აიცილებდა სამომავლოდ მსგავს შემთხვევებს. ხოლო ამ სისტემის საფუძველი უნდა ყოფილიყო ტექნოლოგია, რომელიც შეძლებდა საფრთხეთა გაანალიზებას, შედარებით ანალიზს და მოსალოდნელი შესაძლო საფრთხეების პროგნოზს.

დამატებით ფუნქციებს მიეკუთვნებოდა ელექტრონული თვალთვალიც (სპეციალური მოწყობილობებით პირის გადაადგილების დადგენა, მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება და ა.შ). სპეცსამსახურებს საშუალება ჰქონდათ ეწარმოებინათ ოპერატიული დაკვირვება ინტერნეტ ქსელების საშუალებით. კომერციული კავშირგაბმულობის კომპანიები ვალდებულნი იყვნენ ინფორმაცია მიაწოდებინათ სპეცსამსახურებისთვის (როგორც შემდგომში დადგინდა ეს კომპანიები იყვნენ AT&T და Verizon) საჯარო და კერძო საკრედიტო მომსახურების ყველა ოპერატორი თუ კომპანია ვალდებული გახდა კლიენტებზე ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაეცა.

„პატრიოტის აქტის“ მიღებიდან 4 წელიწადში, ანუ 2005 წლის ბოლოსთვის, ამავე აქტის თექვსმეტ მუხლს გასდიოდა ვადა, რომელიც „აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოებას.”(IC) განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს ანიჭებდა. შესაბამისად კონგრესში დადგა საკითხი, რომ ზოგიერთი ამ ნებართვებიდან გაგრძელებულიყო უვადოდ. წარმომადგენელთა პალატამ ამ პროექტს კენჭი უყარა და 251-174 ხმით აღნიშნული ნებრათვების განუსაზღვრელი ვადით გაცემას (ანუ უვადოდ ძალაში ყოფნას) დაუჭირა მხარი. ამ კანონპროექტის მოწინააღმდეგენი სენატში აცხადებდნენ, რომ ეს ცვლილებები არ პასუხობდა სამოქალაქო უფლებებს და თავისუფლებებს, რაც მოქალაქეებს აქვთ მინიჭებული. საბოლოოდ გაგრძელდა ექვსი მუხლი, რომელთა კონსტიტუციურობა დღემდე სადაოა სამეცნიერო წრეებში :

ინფორმაციის გაზიარება

პატრიოტის აქტის 203-ე (ბ) და 203-ე (დ) ნაწილები (მუხლები) მიმართულია კრიმინალური და დაზვერვა/უსაფრთხოების საგამოძიებო პროცედურებს შორის არსებული უხილავი კედლის დანგრევისკენ. იუსტიციის დეპარტამენტი, 11 სექტემბრამდე, ტერაქტის შემსრულებლების ნავაფ ალ-ჰამზისა და ხალიდ ალ-მიდჰარის ძებნისა და დაკავების წარუმატებელი მცდლობის მიზეზად ზემოაღნიშნულ უხილავ კედელს მიიჩნევს. ცენტრალური სადაზვერვო სააგნეტოს თანამშრომლებმა, ორივე ეჭვმიტანილი ტერორისტის აშშ-ში ყოფნის თაობაზე მიაწოდეს ინფორმაცია (სავარაუდოდ ფედერალურ საგამოძიებო ბიუროს მიწოდეს ინფორმაცია იგულისხმება), მაგრამ ფედერალურ საგამოძიებო ბიუროს აღნიშნული ინფორმაცია 2011 წლის აგვისტომდე არ მიუღია.

ამერიკელი ოფიციალური პირები, ზაქარიას მუსაუის (რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტებთან კავშირში ბრალდებულად იქნა ცნობილი) წინააღმდეგ მიმართული გამოძიების წარუმატებლობის მიზეზადაც აღნიშნული უხილავი კედელის არსებობას მიიჩნევენ. მთავრობის განცხადებით, არსებულმა პროცედურებმა, კრიმინალურ გამოძიებასა და სადაზვერვო სამსახურებს შორის ინფორმაციის გაზიარებას შეუშალა ხელი. შესაბამისად პროექტის მომხრეთა მტკიცებით, პატრიოტის აქტის ზემოაღნიშნული ნორმები (მუხლები) უზრუნველყოფენ ფართო სპექტრის ინფორმაციის გაზირებას, როგორც, ფედერალური საგამოძიებო ბიუროს შიგნით ასევე, დაზვერვა/უსაფრთხოების სამსახურების მიმართულებით.

სამოქალაქო უფლებების/თავისუფლებების დამცველები, ინფორმაციის გაზიარების კუთხით წარმოქმნილი პრობლემების მიზეზად არაკომპეტენტურობას და კანონმდებლობის ცოდნის დაბალ უნარებს მიიჩნევს. მათი განცხადებით, გამოძიებას, დიდი ჟიურის ნებართვის საფუძველზე, პატრიოტის აქტის ზემოაღნიშნული ნაწილებით გათვალისწინებული უფლება/ნებართვა ინფორმაციის გაზიარების თაობაზე ყოველთვის ქონდა. სამოქალაქო უფლებების დამცველები გვაფრთხილებენ, რომ პატრიოტის აქტში გამოყენებული ტერმინები ძალიან ფართო ინტერპრეტაციის

საშუალებას იძლევა და საჭიროებისდა მიუხედავად, ინფორმაციის ულიმიტოდ გაზიარებას/გავრცელებას ახალისებს.

კრიტიკოსების აზრით გამომძიებლებმა უნდა ახსნან, თუ რატომ ზიარდება კონკრეტული ინფორმაცია, მხოლოდ ტერორიზმთან და კონტრდაზვერვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარების უფლების დატოვებით. ისისნი ასევე, გვაფრთიხლებენ, რომ ინფორმაციის უკონტროლოდ გაზიარება, უდანაშაულო მოქალაქეების შესახებ მონაცემთა ბაზების შექმნას გამოიწვევს.

ამ მუხლის მომხრეთა არგუმენტი: მომხრეები აცხადებენ, რომ ამ ნორმამ მნიშვნელოვნად გააძლიერა ინფორმაციის გაზიარების პროცესი FBI-ს და სადაზვერვო საზოგადოებას შორის. ანუ გამარტივდა კოორდინაცია ამ ორ ორგანოს შორის.

მუხლის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი: კრიტიკოსები აცხადებდნენ, რომ ინფორმაციის შეუზღუდავმა გაზიარებამ შეიძლება გამოიწვიოს მონაცემთა მასობრივი ბაზების შექმნა მათ შორის იმ მოქალაქეების შესახებ, რომლებიც არ არიან სისხლისსამართლებრივი გამოძიების სამიზნეები.

"Roving Wiretaps" (მოძრავი სათვალთვალო მოწყობილობების შესახებ)

იუსტიციის დეპარტამენტი დიდი ხნის მანძილზე გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმ შეზღუდვებზე, რომლებიც გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე, თითოეული ტექნიკური მოწყობილობის მოსმენა/თვალთვალისთვის (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, ბლექბერი) სასამართლოსგან ცალ-ცალკე ნებართვას საჭიროებდა. პატრიოტის აქტის აღნიშნული ნაწილი, ჯაშუშობაში ან ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირის წინააღმდეგ "მოძრავი მოსასმენი მოწყობილობის" გამოყენების საშუალებას იძლევა. მთავრობის განცხადებით კრიმინალური პროცედურები დიდი ხანია ითვალისწინებს მსგავსი სახის მოქნილობას, შესაბამისად, ტექნოლოგიურად დახვეწილი ანტიტერორისტული ღონისძიებები იგივე უფლებამოსილებებს (მოძრავი მოსასმენი მოწყობილობა) საჭიროებს.

როგორც თვალთვალის ექსპერტები აღნიშნავენ, მოსმენის დაწყებამდე (ანუ კონკრეტული მოწყობილობის მოსმენაზე აყვანამდე) შესაბამისი სამსახურები უნდა

დარწმუნდნენ, რომ გამოძიების ქვეშ მყოფი პირი ნამდვილად აპირებს გამოიყენოს ან იყენებს კონკრეტულ მოწყობილობას. სამოქალაქო უფლებების/თავისუფლებების დამცველი ჯგუფების მტკიცებით პატრიოტის აქტის ენამ/ტერმინოლოგიამ ეჭვმიტინილის შემთხვევითი კონტაქტების პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ უფლებათა დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს. ისინი კონგრესისგან ითხოვენ გამოძიებამ წინასწარ განსაზღვროს მოწყობილობა, რომლის მოსმენაც იგეგმება ან მკაფიოდ მოხდეს ეჭვმიტანილის იდენტიფიცირება, რათა დაცული იქნენ უდანაშაულო მოქალაქეები უნებართვო მოსმენებისაგან.

ამ მუხლის მომხრეთა არგუმენტი: აშშ-ს მთავრობის თქმით, აღნიშნული სახის თვალთვალი აუცილებელია, ტექნოლოგიურად მაღალ დონეზე განსწავლული ტერორისტების გამოსავლენად.

მუხლის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი: კრიტიკოსები აცხადებდნენ, რომ ამ მუხლის ნორმაში გამოყენებული სამართლებრივი ენა, რისკის ქვეშ აყენებს თვალთვალის განმავლობაში ეჭვმიტანილთან შემთხვევით კონტაქტში მყოფ ადამიანთა უფლებებს.

ჩანაწერებთან წვდომა

კანონის ყველაზე მწვავედ განხილვადი ნაწილი, ე.წ. "ბიბლიოთეკის ნორმად" ცნობილი 215-ე ნაწილია (მუხლია), რომელშიც რეალურად არც ტრადიციული ბიბლიოთეკა იგულისხმება და არც წიგნების მაღაზია. სამოქალაქო უფლებების დამცველთა ჯგუფები სწორედ ამ ფართო ინტერპრეტაციის მქონე ნორმას აკრიტიკებენ, რომლის თანახმადაც გამომძიებლებს უფლებამოსილება ეძლევათ მიიღონ ტერორიზმთან შემხებლობაში არსებული ნებისმიერი ჩანაწერი ან სხვა ხელშესახები მასალა (მათ შორის წიგნები, ჩანაწერები, საქაღალდეები, დოკუმეტები).

სამოქალაქო უფლებების/თავისუფლებების დამცველების განცხადებით, აღნიშნული ნორმა შესაძლოა ანგარიშების/დოკუმენტების წასაკითხად იქნას გამოყენებული. აღნიშნულთან დაკავშირებით მთავრობა პირველი შესწორებაზე მიუთითებს, რითაც ამერიკელები ამ საფრთხისაგნ არიან დაცულები. იუსტიციის დეპარტამენტმა მანამდე გასაიდუმლოებული სტატისტიკაც გაასაჯაროვა, რათა ეჩვენებინა, რომ

ბიბლიოთეკებისა და წიგნების მაღაზიების წინააღმდეგ კანონის აღნიშნული ნორმა არასდროს გამოუყენებიათ. თუმცა ნორმატიული აქტის კრიტკოსები მიუთითებენ, რომ მომავალში ამ მიმართულებით შესაძლო დარღვევებისაგან დაზღვევის მექანიზმები არ არსებობს.

სამოქალაქო უფლებების/თავისუფლებების დამცველთა ჯგუფებმა ზემოაღნიშნულ ნორმაში რამდენიმე ცვლილების პროექტი წარადგინეს, რომლებიც ითვალისწინებენ: ბიბლიოთეკებისა და წიგნების მაღაზიებსთვის სპეციალური დაცვის მექანიზმის დანერგვას, ასევე, გამოძიების მიერ ჩანაწერების მოთხოვნის მიზეზის დასაბუთების აუცილებლობას, ამასთანავე, პირი რომელიც 215-ე ნაწილის საფუძველზე მიიღებს ბრძანებას აეკრძალოს აღნიშნული საკითხის მესამე პირისთვის გამხელა. იუსტიციის დეპატამენტი დაეთანხმა შეთავაზებული ცვლილების პროექტს, რომელიც უფლებამოსილებათა დაზუსტებას ითვალისწინებდა. ამავე დროს განმარტეს, რომ პატრიოტის აქტის აღნიშნულ ნორმაზე მათი რეაქცია გადამეტებულია, და მხოლოდ გარკვეული საქმიანობის ჩანაწერებთან წვდომას ითვალისწინებს.

ამ მუხლის მომხრეთა არგუმენტი: ეს ნორმა საშუალებას აძლევს გამომძიებლებს მოიძიონ წიგნები, ჩანაწერები, ნაშრომები, დოკუმენტები და სხვა საგნები, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ტერორისტულ გამოძიებასთან.

მუხლის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი: კრიტიკოსები თავს ესხმიან ამ დებულების ფართო გაგების შესაძლებლობას და ამბობენ, რომ ნორმის ეს ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიბლიოთეკის ან წიგნების მაღაზიის მფლობელთა ჩანაწერების მოსაპოვებლად.

საგარეო დაზვერვის მიერ მოსმენების და ჩხრეკის წარმოება

ეჭვიმატანილის სახლის მოსმენაზე ან ჩხრეკაზე ნებართვის ასაღებად კრიმინალურ გამოძიებას მაღალი დონის ნებართვა (იგულისხმება რთული სამართლებრივი პროცედურების გადალახვის აუცილებლობა) ესაჭიროება. მაგრამ, აღნიშნული ნებართვის მოპოვება გაცილებით მარტივია, როდესაც საქმე ეხება ანტიტერორისტულ ან კონტრდაზვერვით საქმიანობას, გამოძიებამ ეჭვმიტანილის უცხო სახელმწიფოს

აგენტობა მარტივად უნდა დაასაბუთოს. აღნიშნული აქტის მიღებამდე, ნებართვის მისაღებად გამომძიებლებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ სამიზნე უცხო ქვეყნის აგენტი იყო და სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება აუცილებელი გახლდათ. პატრიოტის აქტის თანახმად ნებართვის აღების პროცედურა გამარტივდა. მთავრობის მტკიცებით აღნიშნული ცვლილებით კიდევ ერთი აგური მოაკლდა იმ უხილავ კედელს, რაც კრიმინალურ და სადაზვერვო გამოძიებას შორის იყო აღმართული. შესაბამისად, გამომძიებელი საგარეო დაზვერვის ხაზით მარტივად იღებს მოსმენის ან ჩხრეკის ნებართვას, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულმა ქმედებებმა შესაძლოა სამართლებრივი პასუხისმგებლობების საკითხი დააყენოს.

სამოქალაქო უფლებების/თავისუფლებების დამცველი ჯგუფები ამტკიცებენ, რომ აღნიშნული ბარიერები გაუგებრობის შედეგია, და ჯაშუშისა და ტერორისტის წინააღმდეგ პირდაპირ კრიმინალური წარმოების დასაწყებად არავითარი რთული წინაღობები არ არსებობდა. აღნიშნულის დასამტკიცებლად, 2002 წლის საგარეო დაზვრვის სასამართლოს გადაწყვეტილება მოყავთ.

კრიტიკოსები პატრიოტის აქტის 218-ე ნაწილში ახალ რისკებს ხედავენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ, გამომძიებელბს, ჯაშუშობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით საგარეო დაზვერვის ხაზით მარტივად შეუძლიათ მოსმენისა და ჩხრეკის ნებართვის მიღება. კრიტიკოსები ასევე მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ სადაზვერვო მოსმენების რაოდენობამ გადააჭარბა, კრიმინალური ხაზით არსებულ რაოდენობას. რადგანაც აღნიშნული მოსმენები საიდუმლოდ ხორციელდება, სუსტი ზედამხედველობის პირობებში, ძალაუფლების გადამეტების ფაქტების გამოვლენა რთულდება. სამოქალაქო უფლებების/თავისუფლებების დამცველი ჯგუფები, იუსტიციის დეპარტამენტისგან ეჭვების გასანეიტრალებლად საგარეო დაზვერვის მიმდინარე გამოძიებების თაობაზე მეტი ინფორმაციის გასაჯაროებას ითხოვენ.

ამ მუხლის მომხრეთა არგუმენტი: ნორმა *საშუალებას აძლევს გამომძიებლებს მიიღონ უცხოური სადაზვერვო ინფორმაცია (მოისმინონ სატელეფონო საუბრები)*

მუხლის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი: იმის გამო, რომ უცხოეთის სადაზვერვო გამოძიებები ფარულად ტარდება, სუსტი ზედამხედველობით, კრიტიკოსების თქმით,

მოპოვებული ინფორმაციების ბოროტად გამოყენების შემთხვევების გამოვლენა რთული იქნება.

"Sneak & Peek" ნებართვები

აღნიშნული ნორმა ჩხრეკის თაობაზე ე.წ "დაგვიანებით მოხსენების“ (ინგლ. Delayed Notice) საშუალებას იძლევა. რაც ფედერალურ საგამოძიებო ბიუროს (FBI) საშუალებას აძლევს გამოძიების სამიზნე ობიექტის სახლი გაჩხრიკოს წინასწარი დასაბუთების გარეშე. იუსტიციის დეპარტამენტის განმარტებით აღნიშნულმა ნორმამ, გამოძიებას, სხვა ორგანოებისთვის (სასამართლოსთვის და სხვ.) წინასწარი შეტყობინების გარეშე, ნარკოტიკით მოვაჭრეთა სახლების ჩხრეკვის საშუალება მისცა, რითაც თავიდან იქნა აცილებული გამოძიების ინტერესების საფრთხის ქვეშ დაყენება. ამასთანავე გამომძიებლებმა უნდა განმარტონ რატომ ჭირდებათ "დაგვიანებით მოხსენების" გამოყენება.

კრიტიკოსების მტკიცებით, გამომძიებლებს ანტიტერორისტული და კონტრდაზვერვითი ხაზით საიდუმლო ჩხრეკის წარმოების უფლებამოსილება მანამდეც ჰქონდათ. პატრიოტის აქტის თანახმად გამომძიებლები უფლებამოსილები არიან გამოიყენონ აღნიშნული უფლება ნებისმიერი დანაშაულთან მიმართებაში, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა თუ სიმსუბუქისა. ისინი ამბობენ, რომ ე.წ „Sneak & Peek" ჩხრეკის ნებართვები გამოძიების მიერ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უინდა იქნას გამოყენებული, სადაც წინასწარი შეტყობინება რეალურად შეუქმნის საფრთხეს გამოძიებას. საკანონმდებლო აქტი, რომელიც აღნიშნული ჩხრეკების დაფინანსების შემცირებას ითვალისწინებდა წარმომადგენელთა პალატის მიერ 2003 წელს იქნა მიღებული, თუმცა კანონის საბოლოო მიღება ვერ მოხერხდა მასში არსებული წინააღმდეგობრივი ნორმების გამო.

ამ მუხლის მომხრეთა არგუმენტი: მომხრეები აცხადებენ, რომ ამ დებულებამ გამომძიებლებს უკვე მისცა საშუალება ეპოვნათ ნარკობიზნესთან დაკავშირებული ობიექტები. მათ არ გასცეს ინფორმაცია იმის გამო, რომ ამას შესაძლოა შეეფერხებინა გამოძიება.

მუხლის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი: კრიტიკოსები აცხადებენ, რომ დებულება საშუალებას იძლევა გამოიყენოს "Sneak & Peak" გარანტიები თუნდაც მცირე დანაშაულებისთვის, არა მხოლოდ ტერორიზმისა და ჯაშუშობის შემთხვევებისთვის.

მატერიალური მხარდაჭერა

აშშ-ს ანტიტერორისტული კანონი, ოკლაჰომა სიტიში განხორციელებული ტერაქტის შემდეგ, 1996 წელს იქნა მიღებული, სადაც კანონგარეშედ გამოცხადდა (ანუ დანაშაულის კატეგორიად განისაზღვრა) ტერორისტული ორგანიზაციისათვის მატერიალური მხარდაჭერა. ამ ნორმის განმარტება გაფართოვდა და ტერორისტული ორგანიზაციისათვის მხარდაჭრად ასევე, ჩაითვალა პირადი სახსრებით და სხვადასხვა სწავლებებით დახმარება. პატრიოტის აქტის 805-ე ნაწილმა ტერორიზმის მხარდაჭერის ცნება კიდე უფრო განავრცო და მასში "ექსპერტული რჩევის გაწევა და სხვა სახის დახმარებაც" შეიყვანა.

იუსტიციის დეპარტამენტის განმარტებით კანონის ზემოაღნიშნულმა გავრცობამ კრიტიკული როლი ითამაშა ტერორიზმის მხარდამჭრი ქსელების გასანეიტრალებლად, რაც ასაზრდოებდა და შესაძლებელს ხდიდა ტერორიზმს როგორც მოვლენას. მიუხედავად ამისა ბევრი სამართალმცოდნე და მოსამართლე პატრიოტის აქტის ამ ნორმის წინააღმდეგია, მისი ბუნდოვანების (ორაზროვნების) გამო. მათი განმარტებით, აღნიშნული ნორმა ბრალდების ასოციაციურად წაყენების შესაძლებლობას იძლევა და შესაძლოა ტერორისტულ ჯგუფთან უნებლიე (უნებური, შემთხვევითი, წინასწარ განძრახვის გარეშე) კონაქტის კრიმინალიზება გამოიწვიოს.

ოპონენტები ასევე ამტკიცებენ, რომ ნორმა საფრთხეს უქმნის სიტყვს თავისუფლებას, რადგანაც იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ტერორისტულ ჯგუფთან კავშირში ეჭვმიტანილ ნებისმიერ საქველმოქმედო ორგანიზაციაში გაკეთებული შემოწირულობა, სამართლებრივად, ტერორიზმის მატერიალურ მხარდაჭერად შეიძლება ითარგმნოს. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ნორმა არაკონსტიტუციურად ბუნდოვანია. აღნიშნულის საპასუხოდ 2004 წელს მიღებული დაზვერვის რეფორმისა

და ტერორიზმის პრევენციის აქტში კონგრესი შეეცადა განსაზღვრების დავიწროებას (ნორმის დაკონკრეტებას), მიუხედავად ამისა ენა რომელიც ამ ნორმაშია გამოყენებული სასამართლოში იქნა გასაჩივრებული.

ამ მუხლის მომხრეთა არგუმენტი: ეს ხელს უწყობს ტერორიზმთან დაკავშირებული „დამხმარე ქსელების“ გამოვლენას და მათ განეიტრალებას.

მუხლის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი: აღნიშნული ნორმა ბრალდების ასოციაციურად წაყენების შესაძლებლობას იძლევა და შესაძლოა ტერორისტულ ჯგუფთან უნებლიე (უნებური, შემთხვევითი, წინასწარ განძრახვის გარეშე) კონაქტის კრიმინალიზება გამოიწვიოს.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, არაერთი მეცნიერი და პოლიტიკოსი, განსაკუთრებით კი იურისტი დღემდე მიიჩნევს, რომ „პატრიოტის აქტმა მოახდინა სამოქალაქო უფლებების და თავისუფლებების მწვავე ეროზია“ [3]

II თავი: დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელების *პოლიტიკური* ასპექტები.

1.1. აშშ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა: ისტორია და თანამედროვეობა.

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და მნიშვნელობა, XX საუკუნის დასაწისში არსებულმა საერთაშორისო უსაფრთხოების გარემომ გადააფასა. კერძოდ, გართულდა აშშ-ს ეროვნული ინტერესების ინტეგრაცია ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ეროვნული უსაფრთხოების განსაზღვრისა და კონცეპტუალიზაციის პრობლემების გათვალისწინებით, პოლიტიკის მეცნიერებმა და უსაფრთხოების სპეციალისტებმა სემ სარქისიანმა, ჯონ ალენ უილიამსმა და სტეფან კიმბალამ საკუთარ ნაშრომში - „აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოება. პროცესები და პოლიტიკა“ შემოგვთავაზეს ეროვნული უსაფრთხოების განმარტება, რომელიც

[3] Permanent Record - Edward Snowden. Head 18 . First published in the UK 2019 by Macmillan.

მოიცავს როგორც ობიექტურ გარემოებებს, ასევე შესაბამის აღქმას: „აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოება არის ეროვნული ინსტიტუტების შესაძლებლობა, ხელი შეუშალონ მოწინააღმდეგეებს ძალის გამოყენებით, ზიანი მიაყენონ ამერიკელებს ან მათ ეროვნულ ინტერესებს და ამერიკის მოქალაქეთა ნდობას ამ შესაძლებლობებში.“ [4]

ამ განსაზღვრების ორი განზომილება არსებობს: ფიზიკური და ფსიქოლოგიური. პირველი არის ობიექტური ღონისძიება, რომელიც დაფუძნებულია ერის სიძლიერესა და სამხედრო შესაძლებლობებზე, მოწინააღმდეგეების წარმატებით გასანეიტრალებლად, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ომის წარმოებისთვის. ეს ასევე მოიცავს უფრო მნიშვნელოვან სადაზვერვო, ეკონომიკურ და სხვა არასამხედრო ღონისძიებებს, როგორც მათი გამოყენების შესაძლებლობებს სამხედრო-პოლიტიკურ ბერკეტად სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობისას.

ამ განმარტების ფსიქოლოგიური განზომილება სუბიექტურია, რაც ასახავს ამერიკელთა მოსაზრებებსა და დამოკიდებულებებს ერის შესაძლებლობის შესახებ, რომ იყოს დაცული გარე სამყაროსთან. ეს გავლენას ახდენს ხალხის მზაობაზე, მხარი დაუჭიროს მთავრობის მცდელობებს ეროვნული უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად. ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია ის, რომ აშშ მოქალაქეების უმრავლესობას აქვს ცოდნა და პოლიტიკური ნება, რომ მხარი დაუჭიროს მკაფიო პოლიტიკას ეროვნული უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად.

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოება უნდა გაანალიზდეს საგარეო პოლიტიკის კონტექსტში, იგი განსაზღვრულია როგორც ეროვნული პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ოფიციალურ ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან. ამასთანავე საგარეო პოლიტიკის მიზნებიც მრავალგანზომილებიანია.

შეერთებულ შტატების მიზანია აშშ-სთვის საზიანო პირობების თავიდან აცილება და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის შენარჩუნება მისივე ეროვნული ინტერესებისთვის ხელსაყრელი პირობების გასაძლიერებლად. საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტები,

---

[4] US National Security: Policymakers, Processes & Politics FOURTH EDITION Sam C. Sarkesian, John Allen Williams, and Stephen J. Cimbala Copyright © 2008. Lynne Rienner (publishers) Page 5.

პირველ რიგში, დიპლომატიური და პოლიტიკურია და მოიცავს ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ზომებს.

ახლო წარსულში აშშ-ში ეროვნული უსაფრთხოება საგარეო პოლიტიკისგან განსხვავდებოდა მინიმუმ ორი თვალსაზრისით: ეროვნული უსაფრთხოების მიზნები უფრო ვიწრო იყო და ორიენტირდებოდა უსაფრთხოებასა და სამოქალაქო თავდაცვაზე, ხოლო ეროვნული უსაფრთხოება, პირველ რიგში, ეხებოდა ფაქტობრივ და პოტენციურ მოწინააღმდეგეებს და მათ ძალის გამოყენებას, იქნებოდა ეს აშკარა თუ ფარული. ეს ნიშნავს, რომ სამხედრო აქცენტი პრიორიტეტი იყო. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ახლა მეტად რეალიზებულია საგარეო პოლიტიკასთან. საგარეო პოლიტიკის დიდი ნაწილი შეეხება კომპრომისს და მოლაპარაკებებს - ე.წ „აღებ-მიცემას“ (give-and-take) ისევე როგორც ყველა იმ ტექნიკას, რომელიც დაკავშირებულია ტრადიციულ დიპლომატიასთან.

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საგულდაგულოდ უნდა იყოს შემუშავებული და განხორციელებული ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების პრიორიტეტიზაციის შესაბამისად. ძალიან ხშირად, ეროვნული უსაფრთხოება - სახელმწიფოს ნებისმიერი ინტერესის სინონიმად გამოიყენება, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ყველა ინტერესი სასიცოცხლოა. თუ ყველაფერი ეროვნული უსაფრთხოების საკითხია, მაშინ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია პრაქტიკულად და თეორიულად უაზრო ხდება. შესაბამისად აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა და სტრატეგია ასეთ ნიმუშს რომ მიჰყოლოდა, შეერთებულ შტატებს მოუწევდა ყველაფრის დაცვა ყველგან. შედეგად იგი ვერ შეძლებდა ვერაფრის დაცვას. რესურსები და პერსონალი მთელს მსოფლიოში მიმოიფანტებოდა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებზე კონცენტრაცია არასაკმარისი იქნებოდა.

როგორც ჯონ ალენ უილიამსი განმარტავს, ამერიკელები ხშირად არ ეთანხმებიან პრიორიტეტებს. მაშინაც კი, როდესაც არსებობს შეთანხმება პრიორიტეტებთან დაკავშირებით, არსებობს უთანხმოება რესურსების განკარგვაზე და სტრატეგიის შესახებ. ამასთან, პრიორიტეტების სისტემა უზრუნველყოფს საფრთხის დონის

იდენტიფიცირებას და სტრატეგიების შემუშავებას, მაგრამ ეს ყველაფერი ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელობით და მისი კონცეპტუალური განზომილებების გათვალისწინებით ხდება.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, თანამედროვე გარემოში აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოება და ეროვნული ინტერესები გართულდა, ხშირად ორაზროვანი და თანაც არათანმიმდევრული - არა იმიტომ, რომ ძირითადი კონფლიქტური ომის უშუალო საფრთხე შეიქმნა, არამედ საერთაშორისო გეოპოლიტიკური არენის არაპროგნოზირებადი, გაურკვეველი და დამაბნეველი მახასიათებლების გამო.

აშშ-ს თანამედროვე ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია (NSS) რომელიც 2017 წელს მიიღო თეთრმა სახლმა, პრეზიდენტ ტრამპის ხელმძღვანელობით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, განსაკუთრებით ამერიკის მოკავშირეების და სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან. ამავდროულად, ის არა თუ უარყოფს, არამედ უფრო ავრცობს აშშ – ს წინა სტრატეგიების კლასიკურ საკითხებს და ამით სახელმწიფო კვლავ იღებს ვალდებულებას, რომ თავისი ტრადიციული როლი შეასრულოს „თავისუფალი სამყაროს“ ლიდერის პოზიციაზე.

დოკუმენტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია მისი დევიზი - "ამერიკა უპირველეს ყოვლისა" - რომელიც ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიის დევიზი იყო, ხოლო აღნიშნული მოწოდება ნამდვილად არ ნიშნავს იზოლაციონიზმს, და მეტიც, ის უარყოფს მოსაზრებებს აშშ-ს ტრანსატლანტიკური როლის შემცირების შესახებ. დოკუმენტი ღიად აფიქსირებს პოზიციას, რომ ამერიკა უნდა დარჩეს აქტიურ პოლიტიკაში ოკეანის მიღმა და გაუმკლავდეს რუსეთთან და ჩინეთთან კონკურენციას:

„ამერიკა, რომელსაც შეუძლია შეინარჩუნოს მშვიდობა, დაიცვას თავისუფლება და შექმნას მუდმივი უპირატესობები ამერიკელი ხალხისთვის. “ამერიკა პირველყოვლისა” ჩვენი მთავრობის მოვალეობაა და ეს ყოველივე საფუძველია აშშ – ს მსოფლიო ძლიერებისთვის. ძლიერი ამერიკა, არა მხოლოდ ამერიკელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესია, არამედ მათიც, ვისაც სურს იყოს ამერიკის პარტნიორი. ჩვენი

მიზანია მიღწეულ იქნეს ეროვნული ინტერესები... აშშ აუცილებლად უპასუხებს გაზრდილ პოლიტ-ეკონომიკურ და სამხედრო მეტოქეობას…“[5]

დოკუმენტში გამოყოფილია ოთხი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესი, რომელთა განხორციელება უპირატესია. ესენია:

<u>თავი I: დაცულ იქნეს ამერიკელი ხალხი, სამშობლო და ცხოვრების ამერიკული წესი.</u>

მთავრობის ფუნდამენტურ პასუხისმგებლობად განსაზღვრულია ამერიკელი ხალხი, სამშობლო და ცხოვრების ამერიკული წესის დაცვა. „ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს საზღვრებზე კონტროლს და დავიწყებთ საიმიგრაციო სისტემის რეფორმირებას. ჩვენ დავიცავთ ჩვენს კრიტიკულ ინფრასტრუქტურას და ვუპასუხებთ კიბერგამოწვევებს“ [6] დოკუმენტის ამ თავში საუბარია მართვის მრავალდონიან სარაკეტო სისტემაზე და მის უპირატესობებზე თავდაცვით კონტექსტში. ამავე თავში საუბარია, ტრანსნაციონალურ კრიმინალურ და ტერორისტულ ორგანიზაციებზე და რამოდენიმეჯერ არის ნახსენები ირანიდან, ჩრდ.კორეიდან, რუსეთიდან და ჩინეთიდან მომდინარე საფრთხეები.

<u>თავი II: ამერიკულთა კეთილდღეობაზე ზრუნვა</u>

მეორე თავის მთავარ გზავნილია აშშ-ს ეკონომიკური სიძლიერის უზრუნველყოფა, და ეკონომიკის გადახალისება, ამერიკელი მუშებისა და კომპანიების სასარგებლოდ.

„ჩვენ ვიმოქმედებთ სამართლიან და თავისუფალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე სავაჭრო დისბალანსების აღმოსაფხვრელად. შეერთებულმა შტატებმა უნდა შეინარჩუნოს თავისი უპირატესობა კვლევებსა და ტექნოლოგიებში და დაიცვას ეკონომიკა კონკურენტებისგან, რომლებიც უსამართლოდ იძენენ ჩვენს ინტელექტუალურ საკუთრებას.“[7]

ამ თავში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განაცხადია ამერიკის ენერგოდომინაციის მიღწევის შესახებ, რადგან უხვი ენერგიის რესურსების

[5] NSS of the United States of America. introduction DECEMBER 2017. The White House. Washington DC.
[6] NSS of the United States of America. Page 7. DECEMBER 2017. The White House. Washington DC.
[7] NSS of the United States of America. Page 17. Decembet 2017. The White House. Washington DC

გააქტიურება ასტიმულირებს ამერიკულ ეკონომიკას. „აშშ-ს წამყვანი პოზიცია მსოფლიოს ენერგეტიკულ სისტემაში უმნიშვნელოვანესია, როგორც მთავარი მწარმოებელის, მომხმარებლის და მიმწოდებელის. ეს ყოველივე უზრუნველყოფს ბაზრების თავისუფლებას და ამასთან, ამერიკული ინფრასტრუქტურის მდგრადობას და უსაფრთხოებას“. სტრატეგიის მიხედვით, შეერთებული შტატების მთავრობა დარღვევებზე და სხვა ეკონომიკურ აგრესიაზე თვალს აღარ დახუჭავს.

<u>თავი III: ძალის პოლიტიკის მეშვეობით მშვიდობის შენარჩუნება</u>

"მშვიდობა ძალის გზით" - დოკუმენტის ამ ნაწილმა ცხადყო, რომ პრეზიდენტი კარგად აცნობიერებს ამერიკის უსაფრთხოების უმთავრეს პრიორიტეტებს და აძლევს მას "კონკურენციის" აღქმას და არა როგორც "ომის" გაგებას . იგი კვლავ ასახელებს აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების ერთ – ერთ ყველაზე ფუნდამენტურ საკითხს, რომელიც აყალიბებდა აშშ-ს უსაფრთხოების გარემოს და პოლიტიკას მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან და ცივი ომის განმავლობაში:

ისტორიის ცენტრალურ ჯაჭვს წარმოადგენს ძალაუფლების და გავლენის ცენტრების დაპირისპირება. დოკუმენტში დასახელებულია გამოწვევათა სამი ძირითადი ლაიტმოტივი - ჩინეთისა და რუსეთის რევიზიონისტური ხელისუფლებები; ირანი და ჩრდილოეთ კორეა, როგორც არაპროგნოზირებადი ქვეყნები და არასანდო ხელისუფლებებით; და ტრანსნაციონალური საფრთხის მქონე ორგანიზაციები, განსაკუთრებით ჯიჰადისტური ტერორისტული ჯგუფები, რომლებიც მუდმივად აქტიურად ესხმიან თავს შეერთებულ შტატებს, მის მოკავშირეებსა და პარტნიორებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილ აქტორებს შორის დიდია სხვაობა როგორც პოლიტიკური ბუნების ასევე მასშტაბების თვალსაზრისით, დასახელებული აქტორები აშშ-ს უწევენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო წინააღმდეგობას და ამ მიზნით იყენებენ ტექნოლოგიას და ინფორმაციულ ნაკადებს, რომ დაირღვეს ძალაუფლების ბალანსი, მათ სასარგებლოდ. ეს ყოველივე წარმოადგენს ერთგვარ შეჯიბრს, ორ მხარეს შორის - ვინც ემხრობა რეპრესიულ სოციო-პოლიტიკურ სისტემებს და ვინც ემხრობა თავისუფალ საზოგადოებებს.

აშშ-თვის, რუსეთი კვლავ ეგზისტენციალურ საფრთხედ მიიჩნევა. დოკუმენტის შეფასებით, რუსეთი ცდილობს აღადგინოს დიდი სახელმწიფოს (Great Power) სტატუსი და აშშ-ს საზღვრების სიახლოვეს საკუთარი გავლენის ცენტრები შექმნას; მისი მიზანია ამერიკის გავლენის შესუსტება/შეკავება და მოკავშირეებისა და პარტნიორების ჩამოცილება; აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის გეოპოლიტიკური ამბიციების და სამხედრო ძალის კომბინაცია, ევრაზიის კონტინენტზე ქმნის არასტაბილურ გარემოს და ზრდის კონფლიქტების რისკს.

დოკუმენტის მიხედვით, ჩინეთიდან მომდინარე მთავარი საფრთხეა ბირთვული არსენალისა და მზარდი სამხედრო ძალა, ასევე მისი სურვილი გააძევოს აშშ ინდოეთის და წყნარი ოკეანის რეგიონებიდან. ამავე რეგიონში არსებული წესრიგის ცვლილებისა და მისთვის სასურველი ეკონომიკური წესების დამყარების აქტიური მცდელობა;

ქვეპუნქტში „ინფორმაციის მართვის“ შესახებ დოკუმენტი ამბობს, რომ აშშ-ს კონკურენტები აქტიურად ცდილობენ საინფორმაციო ომის წარმოებას, დეზინფორმატორული ხერხების გამოყენებით, ამერიკის თავისუფალი საზოგადოების და მასზე დაფუძნებული ფასეულობებისა და ინსტიტუციების წინააღმდეგ. მათი მიზანია ანტი-ამერიკული პროპაგანდის მასშტაბების ზრდა.

სტრატეგიის ამავე თავის მიხედვით, აშშ-ს ეროვნული სიძლიერე პოლიტ-ეკონომიკური და სამხედრო ელემენტების ძლიერებაში მდგომარეობს. შესაბამისად, თანამედროვე გარემოში აუცილებელია სამხედრო ხარჯების, თავდაცვის სამხედრო-ტექნიკური ინდუსტრიული ბაზისა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების როლის გაზრდა. ამასთანავე, სამეცნიერო ბირთვული ინფრასტრუქტურის განახლება, ეკონომიკური დიპლომატიის როლისა და მოკავშირეთა როლის ზრდა მთავრობის ერთ-ერთი უპირველესი მიზანია

<u>თავი IV: ამერიკის როგორც გავლენის აქტორის გაძლიერება</u>

მეოთხე თავში გამკვეთილია ორი ძირითადი ნიშნული: სტრატეგიულ პარტნიორებთან კავშირების ზრდა და აშშ-ს გავლენის გაძლიერება საერთაშორისო ინსტიტუტებში.

აშშ საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს მშვიდობის, კეთილდღეობისა და წარმატებული საზოგადოებების მშენებლობისათვის ამერიკის გავლენის გავრცელება. ხოლო „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“- არის მოწოდება ამერიკის სრატეგიული მოკავშირეებისთვის, რომ გააქტიურდეს ერთობლივი საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული თანამშრომლობითი ღონისძიებები მსოფლიოს მასშტაბით.

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება, საერთაშორისო ინსტიტუტებში ამერიკის როლზე, გავლენასა და აქტიურ მონაწილეობაზე. სტრატეგია საინტერესო გამოწვევად ასახელებს ერის აღმშენებლობის საკითხს, რომელიც ასევე ეხება ერაყსა და ავღანეთში წარმოებული ომების გავლენებს. ”შეერთებულმა შტატებმა ხელი შეუწყოს განვითარების ისეთ მოდელს, რომელიც პარტნიორობას გაუწევს ქვეყნებს, რომელთაც სურთ პროგრესი, შესაბამისად ისეთი კულტურის დამკვიდრება, რომელიც ეფუძნება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, სამართლიანი და კონკურენტუნარიან ვაჭრობას, კერძო სექტორის გამარტივებულ საქმიანობას და კანონის უზენაესობას.“

1.2. დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის მნიშვნელობა და რაობა

დაზვერვის სამსახურები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. სამსახურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი საქმიანობა ხორციელდება ფარულად და, მათი ამოცანების თავისებურებებიდან გამომდინარე, თავიანთი ვალდებულებების შესრულებაც ფარულია და სწორედ ამიტომ ისინი ეწინააღმდეგებიან ღია საზოგადოების პრინციპს.[8] ამ თეორიულ-პრაქტიკული პარადოქსის გამო (ანუ ღია საზოგადოების პრინციპის დაცვა საიდუმლო ღონისძიებებით) დაზვერვის სამსახურები დემოკრატიული ანგარიშვალდებულების და სამოქალაქო კონტროლის საგანს წარმოადგენენ. ამ სამსახურებზე

[8] დაზვერვის ანგარიშვალდებულების დანერგვა: სადაზვერვო სამსახურებზე ზედამხედველობის სამართლებრივი სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა. გვ17. ჰანს ბორნი და იან ლი. (2005წ. ოსლო)Publishing house of the Parliament of Norwey.

საზოგადოებრივი კონტროლი უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან გასაიდუმლოებული აქტივობებით მათი საქმიანობა უმეტესწილად საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება. მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა, განსაკუთრებით კი მთავრობამ, ყურადღებით ადევნოს თვალყური დაზვერვის სამსახურების საქმიანობას. მოგეხსენებათ, რომ უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურებს განსაკუთრებული ძალაუფლება გააჩნიათ. მაგ: პირად საკუთრებაში ან საკომუნიკაციო საშუალებებში ჩარევის შესაძლებლობა, რითაც შესაძლოა შეიზღუდოს ან აშკარად დაირღვეს ადამიანის უფლებები. ამიტომ იგი წინასწარ განსაზღვრული, დარგის სპეციალისტებით დაკომპლექტებული საზედამხედველო ინსტიტუტების მიერ მონიტორინგის განხორციელებას უნდა ექვემდებარებოდეს.

2001 წლის 11 სექტემბრის, ნიუ-იორკის და ვაშინგტონის ტერაქტების შემდეგ, თითქმის ყველა სახელმწიფოს დაზვერვის სამსახურებმა დაიწყეს საფრთხეთა ხელახალი კლასიფიკაციის ჩამოყალიბება და ისინი რეორგანიზაცის პროცესში დღემდე იმყოფებიან. ორგანიზებული დანაშაული, გახშირებული რეგიონალური კონფლიქტები, სეპარატიზმი, ტერორიზმი აგრეთვე, ადამიანთა და ტვირთების უკანონო ტრეფიკინგი თანამედროვე ეპოქის უმთავრეს გამოწვევებად ჩამოყალიბდა.[9] როგორც წინა თავებში განვიხილეთ, აშშ-ში შექმნილია 17 ორგანიზაცია, რომელთაც აქვთ კონკრეტული, წინასწარ განსაზღვრული და ურთიერთგადამკვეთი პასუხისმგებლობები. ამ ორგანიზაციებს მიეკუთვნება ტაქტიკურ-სტრატეგიული დაზვერვა, შიდა და გარე დაზვერვა, ინფორმაციის შეგროვების სამსახურები (რომლებიც ახორციელებენ რადიო-ელექტრონულ დაზვერვას, ადამიანური რესურსებით დაზვერვას და გამოსახულებით დაზვერვას) სამოქალაქო და სამხედრო დაზვერვა და სტრატეგიული შეფასების ორგანოები. შესაბამისად აღნიშნული სამსახურები, ერთიანობაში ქმნიან „სადაზვერვო საზოგადოებას“

[9] დაზვერვის ანგარიშვალდებულების დანერგვა: სადაზვერვო სამსახურებზე ზედამხედველობის სამართლებრივი სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა. გვ18. ჰანს ბორნი და იან ლი. (2005წ. ოსლო.)Publishing house of the Parliament of Norwey.

სახელმწიფო დაზვერვის სამსახური (ან სამსახურები) , ეს არის ორგანიზაცია, რომელიც აგროვებს, აანალიზებს ინფორმაციას მოსალოდნელ საფრთხეებზე, რომლის ემუქრება ეროვნული უსაფრთხოებას.[10]

ზედამხედველობა როგორც ტერმინი არაერთგვაროვანია. ის მოიცავს ფაქტების მოსალოდნელ დეტალურ შესწავლას, რეალურ დროში მონიტორინგსა და პოსტ ფაქტუმ მიმოხილვას. ამასთან, ის გულისხმობს შეფასებას და გამოძიებასაც. ის თუ ვის და რომელ ორგანიზაციებს ევალება ჩამოთვლილი პროცესების აღსრულება მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

მნიშვნელოვანია, რომ ტერმინი - ზედამხედველობა - გაემიჯნოს კონტროლს, ვინაიდან კონტროლი ითვალისწინებს ორგანიზაციის პოლიტიკისა და საქმიანობის წარმართვის უფლებამოსილებას. ამიტომ, კონტროლი ჩვეულებრივ ასოცირდება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, განსაკუთრებით კი დაზვერვის სამსახურების ხელმძღვანელობასთან. კონტროლის მაგალითად გამოდგება პრეზიდენტის მიერ განკარგულების გამოცემა, რომელიც პირობითად აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსგან მოითხოვს ისეთი პრიორიტეტის დადგენას, როგორიცაა კონტრტერორიზმი. თუმცა ცნობილია ისიც, რომ ყველა ქვეყნის მთავრობა არ მიჯნავს ზედამხედველობასა და კონტროლს ერთმანეთისგან.

ზედამხედველობის პროცესის, ძირითადი მიზანია სადაზვერვო სამსახურებში ანგარიშვალდებულების დანერგვა მათი პოლიტიკის კანონიერების, მიზანშეწონილობის და ეფექტურობის თვალსაზრისით. სადაზვერვი სამსახურებზე ზედამხედველობის პროცესი სამი ეტაპიანია:

1. ზედამხედველი ორგანო აგროვებს ინფორმაციას სადაზვერვო სამსახურის შესახებ.
2. შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, ზედამხედველი ორგანო აწარმოებს დიალოგს დაზვერვასთან.
3. ზედამხედველი ორგანო გასცემს შესაბამის დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

[10] Supervise intelligence services. Hans Bourne and Aidan Willis. Page 6. (2012. DCAF. Geneva)

ზედამხედველობა მოიცავს, როგორც დაზვერვის სამსახურის საქმიანობის მიზანშეწონილობის და კანონიერებს შემოწმებას, ასევე მის ეფექტურობის დონის განსაზღვრასაც. ამ კონტექსტით, მიზანშეწონილობა გულისხმობს დაზვერვის სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედებების მორალურ მხარეს, და ასევე იმას ეხმიანება შეესაბამება თუ არა ეს ქმედებები მმართველ კანონს. ეფექტურობა აღნიშნავს იმას თუ რამდენად აღწევს სამსახური თავისი მიზნებს, ხოლო ქმედუნარიანობა ზომავს თუ რამდენად მიზანშეწონილია ამ მიზნების განხორციელება.

დაზვერვის სამსახურებზე ეფექტური ზედამხედველობის პროცესი იწყება შიდა კონტროლის ეფექტური განხორციელებით. იმ შემთხვევაში თუ დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელობა სუსტია ან არ თანამშრომლობს სხვადასხვა უწყებებთან, აღმასრულებელი ხელისუფლების დარგობრივი წარმომადგენლები, შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტები (კონგრესში არსებულ დაზვერვის კომიტეტებზე ვისაუბრებთ მომდევნო პარაგრაფში) და სხვა კვალიფიციური ორგანოები დაბრკოლდებიან საკუთარი უფლებამოსილებების შესრულების პროცესში. ხოლო, თუ დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელობა ავლენენ აქტიურობას და მხარდაჭერას, დაზვერვის სამსახურის შიდა კონტროლისა (აშშ-ში მსგავს სამსახურს ეწოდება Inspector General. IG) და მართვის დანარჩენი სისტემები უზრუნველყოფენ უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების აღკვეთისა და ადამიანის უფლებებათა დაცვის გარანტიებს.

არაერთ ქვეყანაში განსაკუთრებული უფლებამოსილებების გამოყენების საკითხს, დაზვერვის სამსახურებისთვის, განსაზღვრავს სასამართლო. აღნიშნულის საჭიროება განპირობებულია შესაძლო ზემოქმედებით, რასაც ასეთი ტიპის უფლებამოსილებები ახდენს ადამიანის უფლებებზე. უსაფრთხოების სექტორში მოქმედი ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული მაღალი რისკი, თავის მხრივ მოითხოვს შიდაუფლებამოსილების მაღალ დონეს.

სამსახურის ხელმძღვანელობა იღებს აუცილებელ ზომებს უკანონო ბრძანებების გაცემის აღსაკვეთად. ხოლო ასეთის გაცემის შემთხვევაში, (და თუ ის ცნობილი გახდება ხელმძღვანელობისთვის) ხელი უნდა შეუშალოს მათ შესრულებას. ამ

ძალისხმევას ხელს უწყობს ე.წ „მამხილებლების“ (ადამიანები, რომელებიც აკრიტიკებენ საკუთარ ორგანიზაციას) დაცვის შესახებ კანონი, რომელიც მოქმედებს მრავალ დემოკრატიულ ქვეყანაში, რაც დაზვერვის სამსახურის პირად შემადგენლობას საშუალებას აძლევს გამოაშკარავდეს ინფორმაცია დანაშაულის შესახებ შიდა და გარე მაკონტროლებელ ორგანოებთან.

ზოგიერთ ქვეყანაში დაწესდა საპროცესო ნორმები იმისთვის, რომ დაზვერვის საეჭვო საქმიანობის შესახებ მოხსენება წარედგინოს დაზვერვის სამსახურის უფროსს ან სხვა შესაბამის პასუხისმგებელ პირს. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში სადავო შემთხვევების შესახებ აცნობებენ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს გენერალურ ინსპექტორს (IG). ვინაიდან CIA არის ერთადერთი სადაზვერვო ორგანო ამერიკაში, რომელსაც დამოუკიდებელი უწყების სახით გააჩნია - გენერალური ინსპექტორის აპარატი. სხვა ქვეყნებში, ამის შესახებ აუწყებენ ხოლმე შესაბამის პასუხისმგებელ პირს ან მინისტრს. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა (მაგ. ბულგარეთი) უზრუნველყოფს დაზვერვის სამსახურის თითოეული თანამშრომლის ანგარიშვალდებულების დანერგვას სამსახურის უკანონო ქმედებებზე, ანუ მათ აქვთ ვალდებულება ასეთი დარღვევის მათთვის ცნობადად გახდომის შემთხვევაში შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს. ასევე, ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევებზე.

რაც შეეხება საპარლამენტო ზედამხედველობას; საპარლამენტო კომიტეტებისა და შესაბამისი კვალიფიციური საზედამხედველო ორგანოების მანდატები ყველა სახელმწიფოში სხვადასხვა სახისაა. ამერიკის შეერთებული შტატებში, კონგრესში არსებული დაზვერვაზე ზედამხედველობის კომიტეტებში, დაკანონდა მანდატები, რომელიც სრულდება კანონიერების და სამართლებრივი სისწორის, ასევე ეფექტურობისა და ქმედითობის პრინციპების გათვალისწინებით;

პარლამენტის საზედამხედველო კომიტეტები და სხვა კვალიფიციური დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოები ასრულებენ შესაბამის მანდატებს, რისთვისაც მათ მინიჭებული აქვთ ფართო უფლებამოსილებები. ამ უფლებამოსილებებს შესაძლოა

მიეკუთნებოდეს ჩამოთვლილიდან ნებისმიერი, რიგ შემთხვევაში ყველა მათგანი, ესენია:

- საიდუმლო ინფორმაციებზე წვდომის უფლებამოსილება;
- დაზვერვის სამსახურების ყოველწლიური და ასევე სხვა სახის ანგარიშებზე წვდომის მიღებისა და მათი განხილვის უფლებამოსილება;
- მთავრობის და დაზვერვის სამსახურების ოფიციალური პირების სასამართლოში მოწმის სახით გამოძახება, ჩვენების მისაცემად;
- ექსპერტებისა და საზოგადოების სხვა წევრების სასამართლო პროცესზე მოწვევის უფლებამოსილება, ჩვენების მისაცემად;
- პასუხისმგებელ პირებთან, მინისტრებთან და დაზვერვის სამსახურების უფროსებთან პერიოდული შეხვედრების უფლებამოსილება;
- სადაზვერვო სამსახურში როგორც რეგულარული, ასევე დროებითი შემოწმების ჩატარების და შენობის მონახულების უფლებამოსილება. [11]

1.3 კონგრესის როლი „აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოებაზე“ ზედამხედველობის პროცესში

ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1976 და 1977 წლებში ჩამოყალიბდა სენატის (SSCI) და წარმომადგენელთა პალატის მუდმივმოქმედი სადაზვერვო კომიტეტები (HPSCI). მათი სტრუქტურა შემდეგნაირია:

- HPSCI: ჰყავს 22 წევრი, თუმცა ეს რიცხვი წარსულში ხშირად იცვლებოდა. მასში შედის მინიმუმ ერთი წევრი წარმომადგენელთა პალატიდან, ასევე წარმომადგენლები შეიარაღებული ძალებიდან, სასამართლო და საგარეო საქმეთა კომიტეტებიდან.

[11] Supervise intelligence services. Hans Bourne and Aidan Willis. Page 12. (2012 DCAF.Geneva)

- SSCI: 15 წევრით, თუმცა ეს რიცხვი ასევე ცვალებადია. როგორც წესი, უმრავლესობას კომიტეში რვა წევრი ჰყავს. უმრავლესობისა და უმცირესობის მიერ თითო ადგილი დაცულია კომიტეტის მუდმივმოქმედი წევრებისათვის: შეიარაღებული ძალების, საგარეო ურთიერთობებისა და სასამართლო კომიტეტებისთვის. თავჯდომარე და შეიარაღებული ძლების კომიტეტების წევრი ითვლებიან სადაზვერვო კომიტეტების ოფიციალურ წევრებად.

ამ დრომდე კონგრესის როლი „აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოების (IC)“ ზედამხედველობის განხორციელებაში პრაქტიკულად ნულის ტოლი იყო. კიდევ უფრო ადრე არსებულ, კონგრესის შეიარაღებული ძალების აპარატის, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) ქვეკომიტეტს, ჰქონდა ნომინალური ზედამხედველობითი პასუხისმგებლობა, ვინდაიდან კონგრესს მიაჩნდა, რომ „ამერიკის სადაზვერვო საზოგადოებას (IC)“ მეტ-ნაკლებად შეეძლო საკუთარი საქმიანობის წარმართვა, სამართლებრივი და მორალური ჩარჩოს დარეგულირება, და განსახორციელებელი საქმიანობის ეროვნულ უსაფრთხოების პრიორიტეტებზე ორიენტირება. 1970-იანი წლების მედიის ცნობებმა, რომელიც იუწყებოდა, რომ CIA–ს უთვალთვალებდა იმ ამერიკელებს ვინც ვიეტნამის ომის წინააღმდეგი იყო. გარდა ამისა მედია საუბრობდა სააგენტოს არამართლზომიერ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებული იყო ჩილეში ჩატარებულ საყოველთან არჩევნებთან. ამ ყოველივემ კონგრესი აიძულა შეეცვალა თავისი მიდგომები, დაზვერვაზე ზედამხედველობის კუთხით.

1975 წელს კონგრესმა შექმნა ორი კომიტეტი სადაზვერვო საქმიანობის გამოსაძიებლად, რომელსაც თავმჯდომარეობდა სენატორი ფრენკ ჩარჩი ("ჩარჩის კომიტეტი“) და წარმომადგენელთა პალატის წევრი ოტის პაიკი ("პაიკის კომიტეტი"). ამ კომიტეტებს დაევალათ დაზვერვის სამსახურების საქმიანობის შესწავლა მართებულობისა და ეფექტურობის პრინციპების გათვალისწინებით. სპეციალურად შემოწმებულ პერსონალთან ერთად შესაბამის გარემოში შეკრებისას, კომიტეტებს მიეცათ ზედამხედველობის განხორციელების საშუალება ფაქტის დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ. აშშ-ის შიდა სადაზვერვო მოქმედებების შესწავლის პასუხისმგებლობა დაეკისრათ კონგრესის კომიტეტებსაც, რომლებიც ამავე

დროს ზედამხედველობას უწევენ იუსტიციის და ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტებს. კომიტეტის პერსონალს ირჩევდა უმრავლესობასა და უმცირესობაში მყოფი პარტიები. ასევე ამოქმედდა ისეთი სამსახურებიც, რომელსაც სთავაზობდა კონგრესს მნიშვნელოვან მხარდამჭერას – ესენია, მთავრობის ანგარიშვალდებულების ოფისი და კონგრესის კვლევითი სამსახური

ჩარჩის და პაიკის კომიტეტების მოსმენების შედეგად გამოვლინდა აშშ სადაზვერვო საზოგადოების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლო მასშტაბები. ასევე, დასაბუთდა კონგრესის მუდმივმოქმედი კომიტეტების მიერ ზედამხედველობის განხორციელების აუცილებლობა, რომელიც ფოკუსირებული იქნებოდა მხოლოდ IC და სხვა სადაზვერვო აქტივობებზე. SSCI და HPSCI ზედამხედველობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონგრესის მუშაობაში სადაზვერვო ორგანიზაციის პროგრამებისა და პროცესების გაუმჯობესების შესახებ კანონმდებლობის შესრულების საქმეში. ამ ყოველივემ საშუალება მისცა კონგრესს დაზვერვის სააგენტოებთან უფრო სტრუქტურირებული და რუტინული ურთიერთობა დაემყარებინა. ამასთან დაკავშირებით კონგრესმა მხარი დაუჭირა სადაზვერვო რეფორმას, რის შემდეგაც, როგორც უმრავლესობა ამბობდა, გაუმჯობესდა ამერიკის სადაზვერვო საზოგადოების (IC) ფუნქციონირება. სხვა დროს, კონგრესზე ზედამხედველობა აღიქმებოდა, როგორც ნაკლებად გამოსადეგი პროგრამა.

წარმომადგენელთა პალატის (HPSCI) და სენატის მუდმივმოქმედ სადაზვერვო კომიტეტების (SSCI) დაარსების დღიდან, მათთან აქტიურად თანამშრომლობენ კონგრესის დანარჩენი კომიტეტები. გამომდინარე იქიდან, რომ სადაზვერვო პროგრამები ხშირად მჭიდრო კავშირშია საგარეო და თავდაცვის პოლიტიკასთან, სამხედრო ოპერაციებთან, ეროვნულ უსაფრთხოებასთან, კიბერ უსაფრთხოებასთან და სამართალდამცავებთან. სწორედ ამიტომ, საგარეო საქმეთა / ურთიერთობების, ძალოვანი ორგანოების, სასამართლოს და „სამშობლოს დაცვის“ კომიტეტები იზიარებენ საკუთარ სამართლებრივ პასუხისმგებლობას დაზვერვის სფეროში.

ზოგიერთები კონგრესში ვარაუდობენ, რომ „სადაზვერვო საზოგადოების“ ზედამხედველობაზე სამართლებრივი პასუხისმგებლობა ზედმეტად ბევრ კომიტეტს აქვს დაკისრებული და მათი აზრით, ეს გარემოება ასუსტებს ზედამხედველობას, ვინაიდან ზოგიერთ კომიტეტს შედარებით მცირე უფლებამოსილება და არასაკმარისი სპეციალიზაცია გააჩნია დაზვერვის საკითხებში.

არიან ისეთებიც, რომლებიც პასუხისმგებელ კომიტეტთა სიმრავლეს დადებით ფაქტორად მიიჩნევენ. მათი აზრით, რაც უფრო მეტი ორგანო ადევნებს თვალ-ყურს აღნიშნულ პროცესებს და იღებენ ვალდებულებას დაზვერვის სექტორზე ზედამხედველობაზე, მით უფრო გამჭირვალეა აქტიური სადაზვერვო ღონისძიებები და მაღალია ინფორმირებულობის ხარისხიც. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ, სენატისა და პალატის წესები შეიცვალა იმისთვის, რომ კონგრესის სადაზვერვო კომიტეტებს მეტი გავლენა ჰქონოდათ და უფრო ეფექტური ყოფილიყვნენ თავიანთი ზედამხედველობითი პასუხისმგებლობის განხორციელებაში.

აშშ-ს ტერორისტული თავდასხმების შემსწავლელი კომისია (მაგ. 9-11 კომისია) ხშირად საუბრობდა იმის შესახებ, რომ კონგრესის დაზვერვაზე ზედამხედველობა ”დისფუნქციურია”, ასევე იმაზე თუ რამდენად ეფექტურია აღნიშნული კომიტეტების საქმიანობა. თუმცა ისმის კითხვა: შეუძლია კონგრესის მუდმივმოქმედ კომიტეტებს გახადოს „აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოების“ საქმიანობა უფრო ეფექტური, კანონთან შესაბამისი, უკეთ ორგანიზებული?!

კოორდინაციის გაუმჯობესების მცდელობა დაზვერვის და ასიგნაციების კომიტეტებს შორის

2007 წლის თებერვალში, ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს (MOA) სენატის სადაზვერვო კომიტეტს (SSCI), სენატის ასიგნაციების კომიტეტსა (SAC) და თავდაცვის ქვეკომიტეტს (SAC-D) შორის, რომლის საშუალებითაც კომიტეტების თანამშრომლებს ეძლეოდათ შესაძლებლობა და დასწრებოდნენ დაზვერვის შესახებ ერთმანეთის მოსმენებს. იგი ასევე საშუალებას აძლევდა SSCI– ს თითოეულ წევრს, რომელიც იმთავითვე მუშაობდა SAC–ში, დასწრებოდნენ ასიგნაციების კომიტეტის

მოსმენებს და ხმის მიცემის პროცედურებს. ასევე კომიტეტის კენჭისყრამდე გაეკეთებინათ კომენტარი დაზვერვის შესახებ კანონმდებლობის შესახებ. SAC– ის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ აღნიშნული მემორანდუმი არაეფექტური და შესაბამისად არასაჭირო იყო. სენატის დაზვერვის სამსახურის რიგით 24-ე, ყოფილი ვიცე-თავმჯდომარე, სენატორი კრისტოფერ ბონდიც კიდევ უფრო კრიტიკულად აფასებდა MOA– ს და ამტკიცებდა, რომ ის იყო სუსტი და არ მოქმედებდა ყოველდღიურ ცვლილებებზე.

გენერალური ინსპექცია

აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოების თითოეული ელემენტი მოიცავს გენერალური ინსპექტორის (IG) შეფასებას, რომელიც, როგორც წესი, ამოწმებს და საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს გამოძიებას სადაზვერვო საქმიანობის შესახებ. შედარებით დიდ სადაზვერვო უწყებებს გააჩნიათ საკუთარი IG. ხოლო შედარებით მცირე ზომის უწყებები თავიანთი მშობელი ორგანიზაციის IG მმართველობის ქვეშ არიან. მაგ: თავდაცვის დეპარტამენტის რამდენიმე სადაზვერვო უწყებას აქვს საკუთარი IG და მათი საქმიანობა ასევე იმთავითვე მოწმდება თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპეციის მიერ. CIA არის ერთადერთი სადაზვერვო სააგენტო, რომელის ცალკე დამოუკიდებლ ორგანოს წარმოადგენს გენერალური ინსპექტორის აპარატი. გენ-ინსპექტორს წარადგენს პრეზიდენტი და ამტკიცებს სენატი. მას კანონით უშუალოდ მოეთხოვება ზედამხედველ კომიტეტებში მოხსენებების გაკეთება. IG- ს, რომლებიც სხვა სადაზვერვო უწყებებში არიან განლაგებულნი, ინიშნება შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის მიერ.

თავდაცვის დეპარტამენტს ასევე ჰყავს თავდაცვის მდივნის თანაშემწე სადაზვერვო ზედამხედველობისთვის, რომელიც თავის მხრივ ატარებს გამოძიებას და აკონტროლებს გენერალური ინსპექტორის საქმიანობას. პრინციპში, რათა დაცულ იქნეს ამერიკელთა შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელებასთან დაკავშირებული კანონი.

პრეზიდენტის აღმასრულებელ ოფისში ფუნქციონირებს სადაზვერვო ზედამხედველობის საბჭო (IOB), რომლის იურისდიქცია ვრცელდება მთელ

სადაზვერვო საზოგადოებაზე. ამჟამად, IOB წარმოადგენს პრეზიდენტის საგარეო დაზვერვის მრჩეველთა საბჭოს მუდმივ კომიტეტს (PFIAB). PFIAB- ს ოთხი წევრი პარალელურად სარგებლობს IOB-ის წევრობის უფლებით. IOB განიხილავს საქმიანობას და იღებს რეგულარულ ანგარიშებს გენერალური ინსპექტორის აპარატის და სხვა საზედამხედველობის ოფისებიდან. პერიოდულად, იგი განიხილავს ფარულ სამოქმედო პროგრამებს და ატარებს გამოძიებას კანონის შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით, უფროსი დეტექტივ ინსპექტორის (ინგლ. Detective Chief Inspector) თხოვნით, ან საკუთარი ინიციატივით. იგი აცნობებს პრეზიდენტს და გენერალურ პროკურს კანონის აშკარა დარღვევის შესახებ.

კომისია რეკომენდაციას აძლევს, რომ სადაზვერვო სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც ევალება IG- ების მუშაობის მონიტორინგი, განახორციელოს არსებული IG ჩარჩოების გადახედვა, ზედამხედველობის ამ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად კომისის იძლევა რეკომენდაციას, რომ სადაზვერვო სამეთვალყურეო საბჭო (IOB), ჩამოყალიბდეს PFIAB-ისგან დამოუკიდებლად, რადგან მათი ფუნქციები ხარისხობრივად განსხვავებულია.

III თავი: აშშ-ის დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელების *სამართლებრივი* ასპექტები.

1.1 ზედამხედველობის პროცესში მოქმედი აქტორები და მათი როლი.

სადაზვერვო მოქმედებებზე ზედამხედველობა მოითხოვს, როგორც სახელმწიფო ორგანოების კოორდინირებულ მოქმედებას, ასევე მთავრობის სხვა ქმედებათა აქტიურ გადასინჯვას. ეს პროცესი კი ხორციელდება სამოქალაქო საზოგადოების და მასობრივი მედიის საშუალებების მხრიდან. ყველა ჩამოთვლილი ორგანო ასრულებს მნიშვნელოვან როლს ამ სფეროში, თუმცა უმთავრეს როლს საპარლამენტო და კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოები თამაშობენ, რადგან ისინი პასუხს არ

აგებენ დაზვერვის სამსახურების და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე. ეს კი მათ ხელსაყრელ პოზიციაში ამყოფებს იმისთვის, რომ უზრუნველყონ დემოკრატიული ანგარიშვალდებულება და პატივი სცენ ადამიანის უფლებებს და კანონის უზენაესობას. დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოები სარგებლობენ სპეციალური მანდატით მონიტორინგის პროცესში და ისინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ უსაფრთხოების სექტორის მართვაში.

ქვემოთ ჩამოთვლილია ზედამხედველობის ორგანოები, მათი ფუნქციების განმარტებებით და ძირითადი პასუხისმგებლობებით. ესენია:

დაზვერვის სამსახურების ხელმძღვანელობა

აღიარებულია რომ დაზვერვის სამსახურების მხრიდან ისეთი ინსტიტუციონალური კულტურის დანერგვისა და შენარჩუნების საჭიროება უმთავრესია, რომლისთვისაც მთავარია ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის პატივისცემა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ისეთი საკანონმდებლო პაკეტების შემუშავება, რომელიც სტიმულირებს ინსტიტუციონალური კულტურის დამკვიდრებას, თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი სპეციალური პროგრამები, რომლის მეშვეობით დაქვემდებარებული თანამშრომლები უკეთ შეისწავლიან და გაითავისებენ ქვეყნის უმაღლესი კანონის, ნორმების, კეთილსინდისიერების და ანგარიშვალდებულების განუხრელი დაცვის პრინციპებს. დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელობის, როგორც საზედამხედველო ორგანოს ძირითად პასუხისმგებლობებად განსაზღვრულია შემდეგი:[12]

- სამსახურის შიდა კონტროლის განხორციელება და მისი მონიტორინგი;
- ინსტიტუციური კულტურის ჩამოყალიბება და გამართვა, რაც წაახალისებს კანონის უზენაესობისა და ადამიანთა უფლებების მიმართ პატივისცემას;

[12] დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება, სახელმძღვანელო. გვ9. ცხრილი 2. ჰანს ბორნი და აიდან უილისი. (2012 DCAF. ჟენევა)

- განსაკუთრებული უფლებამოსილებების გამოყენების შესახებ არსებული მოთხოვნების განხილვა და გადაუდებელი ნებართვის მისაღებად გარე ორგანოებისადმი მიმართვა;
- შიდა და გარე საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- ისეთი კანონების დაცვა, რომელიც კრძალავს უკანონო ბრძანებების გაცემას და ასევე იმ ოფიცრების თუ თანამშრომლების მხარდაჭერა, რომლებსაც არ სურთ ასეთი ბრძანებების შესრულება;
- „მამხილებლების“ (ინფორმატორების) დაცვის პროცედურების დანერგვა და მისი გაკონტროლება.

აღმასრულებელი ხელისუფლება

ყველა მინისტრი წესისამებრ ანგარიშვალდებულია თავის საქმიანობასა და ფუნქციებზე როგორც სახელმწიფოს მეთაურის, ასევე მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის წინაშე.

როგორც წესი, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი დაზვერვის სამსახურები ანგარიშს აბარებენ იმ მინისტრს, რომლის პასუხისმგებლობის სფეროშიც შედის დაზვერვის სამსახურის კანონიერად, ეფექტურად და ქმედითად ფუნქციონირების უზრუნველყოფა. დაზვერვის საქმიანობის სქპეციფიურობის და კომპლექსურობის გამო აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის რთულია სამსახურის მუშაობის გაკონტროლება და მონიტორინგი. [13]

მიუხედავად იმ არსებითობისა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები მნიშვნელოვნად არიან დაინტერესებულნი დაზვერვის სამსახურების და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული წარუმატებლობების თავიდან აცილებით, ზოგიერთ ქვეყანაში კონკრეტული წარუმატებლობების გამოვლენის ინტერესი არ არის საკმარისად ძლიერი. დაზვერვის სამსახურის მანკიერებების გამჟღავნება საზოგადოებისთვის, დიდი ალბათობით შექმნის პოლიტიკურ

[13] დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება, სახელმძღვანელო. გვ11. ჰანს ბორნი და აიდან უილისი. (2012 DCAF. ჟენევა)

უხერხულობას და უარყოფითად აისახება, როგორც კონკრეტულ მინისტრთა კარიერაზე ასევე პოლიტიკური ხელმძღვანელობის რეიტინგზეც. ამიტომ, დარგის ზოგიერთი ექსპერტი, მათ შორის შეერთებულ შტატებში უნდობლობას ავლენს აღმასრულებლების მიერ ზედამხედველობის მართებულად განხორციელების პროცესისადმი, ამიტომ ძირითადად ეყრდნობიან კონგრესის, სასამართლო და სამოქალაქო საზოგადოების შეფასებებს.

აღნიშნული პრობლემატური გარემოებების მიუხედავად, აღმასრულებელი ხელისუფლება მაინც წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის ჯაჭვში. ქვემოთ ჩამოთვლილი პასუხისმგებლობები ნათლად გვიჩვენებს, რომ გარდა პოლიტიკური პასუხისმგებლობებისა, აღმასრულებელი ხელისუფლება საკუთარ თავზე იღებს ოპერატიულ პასუხისმგებლობებს, დაზვერვის სამსახურებთან მიმართებაში, განსაკუთრებით კი პოლიტიკის განხორციელების კუთხით. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მთავრობის მხრიდან არ დაიმალოს საიდუმლო ან რთულ ოპერატიულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღმასრულებლების პასუხისმგებლობებია:

- დაზვერვის სამსახურების ხელმძღვანელობების დანიშვნა;
- დაზვერვის სამსახურის პოლიტიკისა შემუშავება, პრიორიტეტების დასახვა და შესაბამისი დირექტივების გამოცემა;
- დაზვერვის სამსახურების საქმიანობაზე ანგარიშის წარდგენა პარლამენტის წინაშე;
- დაზვერვის სამსახურების თანამშრომლობის კოორდინაციის უზრუნველყოფა ზედამხედველობის სხვა ორგანოებთან ;
- დაზვერვის სამსახურების ბიუჯეტირების პროგრამის ჩამოყალიბება და სამსახურების ხარჯების შესწავლა;
- დაზვერვის სამსახურის მიერ თანამშრომლობის განმტკიცება, როგორც უცხო ქვეყნის, ასევე შიდა სამსახურებთან და უწყებებთან;
- განსაკუთრებული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ მოთხოვნების დამტკიცება;
- საიდუმლო სადაზვერვო ოპერაციების ჩატარებაზე ნებართვების გაცემა.

საპარლამენტო და კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოები

საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტები და სხვა კვალიფიციური ორგანოები ახორციელებენ ყველაზე ეფექტურ ზედამხედველობას. კვალიფიციური ორგანოები იყოფა შემდეგ ორ კატეგორიად: გენერალური კომიტეტები ფართო მანდატებით (მაგ. თავდაცვისა და საგარეო საქმეთა კომიტეტები) და დარგთან სპეციალიზებული კომიტეტები, რომელიც ორიენტირებული არიან მხოლოდ დაზვერვის ორგანოებზე. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო კომიტეტები (საბიუჯეტო და ფინანსური მიმართულებით) შეიძლება ფლობდნენ დაზვერვის სამსახურებზე განსაკუთრებულ ზედამხედველობით პასუხისმგებლობებს, დაზვერვაზე ზედამხედველობის პროცესში სამუშაოს დიდ ნაწილს ასრულებენ სპეციალიზებული კომიტეტების წევრები, მათი გამოცდილებისა და კომპეტენციის შესაბამისად.[14]

როგორც წინა თავში, კონგრესის როლის შესახებ დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის პროცესში ვახსენეთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1970-იანი წლებში ჩარჩის და პაიკის კომიტეტის მიერ გაკეთებული მოკვლევების საფუძველზე, კონგრესმა გადაწყვიტა შეექმნა დაზვერვის მუდმივი კომიტეტები, როგორც წარმომადგენელთა პალატაში, ასევე სენატში. ამ კომიტეტებს დაევალათ დაზვერვის სამსახურების საქმიანობის შესწავლა მართებულობისა და ეფექტურობის პრინციპების გათვალისწინებით. სპეციალურად შემოწმებულ პერსონალთან ერთად შესაბამის გარემოში შეკრებისას, კომიტეტებს მიეცათ ზედამხედველობის განხორციელების საშუალება ფაქტის დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ. აშშ-ის შიდა სადაზვერვო მოქმედებების შესწავლის პასუხისმგებლობა დაეკისრათ კონგრესის კომიტეტებსაც, რომლებიც ამავე დროს ზედამხედველობას უწევენ იუსტიციის და ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტებს. კომიტეტის პერსონალს ირჩევდა უმრავლესობასა და უმცირესობაში მყოფი პარტიები. ასევე ამოქმედდა ისეთი სამსახურებიც, რომელსაც სთავაზობდა კონგრესს მნიშვნელოვან მხარდამჭერას – ესენია, მთავრობის ანგარიშვალდებულების ოფისი და კონგრესის კვლევითი

[14] დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება, სახელმძღვანელო. გვ14. ჰანს ბორნი და აიდან უილისი. (2012 DCAF. ჟენევა)

სამსახური. ვინაიდან, წინა თავში განვიხილეთ აღნიშნული ორგანოების მანდატები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღარ ჩამოვთვალოთ ისინი ხელმეორედ და პირდაპირ განვიხილოთ, საპარლამენტო და კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოების პასუხისმგებლობები:

- დაზვერვის სამსახურების საქმიანობის შესახებ ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოების შექმნა და საჭიროებისამებრ მათში შესწორებების შეტანა, მათ შორის სამსახურებზე ზედამხედველობისთვის;
- დაზვერვის სამსახურების ქმედებების შეფასება კანონიერების და ეფექტურობის თვალსაზრისით;
- დაზვერვის სამსახურის ბიუჯეტის დამტკიცება და საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტის გადახედვა/განხილვა;

სასამართლო ხელისუფლება

დაზვერვის სამსახურები არ დგანან კანონზე მაღლა, ამიტომ ისინი სასამართლო იურისდიქციის ქვეშ არიან მოქცეული. სასამართლო სისტემა აქტიურ როლს საზედამხედველო ასრულებს დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის პროცესში. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, პროცესების მიმდინარეობისას სისხლის სამართლის დამნაშავეების უფლებების გაფართოებამ განაპირობა მოსამართლეების ინტერესი მთავრობის მოქმედებების საგულდაგულოდ და დეტალურად შესასწავლად, ხოლო კონგრესმა მიიღო დაზვერვასთან დაკავშირებული კანონები, რამაც თვის მხრივ გააფართოვა სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული დადგენილებების გადახედვის შესახებ.[15]

---

[15] რედერიკ მანგეტი, „ზედამხედველობის კიდევ ერთი სისტემა: დაზვერვა და სასამართლოს ხშირი ჩარევა“, სტრატეგიულ დაზვერვაში: ფანჯარა დაზვერვის საიდუმლო სამყაროში, რედ. ლოქ კონსონი და ჯეიმს ვირტზი (ლოს ანჯელესი: როქსბერი, 2004 წ.), გგ. 407-409. (Frederic Manget, „Another system of oversight: intelligence and the rise of judicial intervention,“ in Strategic intelligence: A window into a secret world, eds. Loch Johnson and James Wirtz (Los Angeles: Roxbury, 2004), pp. 407–409.)
იხ. დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება, სახელმძღვანელო. გვ17

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხელისუფლება არის პასუხისმგებელი კანონის უზენაესობის დაცვაზე და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის დამკვირდრებას, მოსამართლეები უმეტესწილად ანგარიშს უწევენ აღმასრულებელ ხელისუფლებას, ეროვნული უსაფრთხოების კორელაციების გათვალისწინებით, ორი მიზეზის გამო: პირველი მიზეზია ის, რომ აშშ-ს კონსტიტუცია და მარეგულირებელი კანონი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს მიაკუთვნებს აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციის სფეროს. მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ არაერთი მოსამართლე სასამართლოებს მიიჩნევს არასათანადო დაწესებულებად, მაღალი დონის კლასიფიცირებული ინფორმაციის გასამჟღავნებლად.

სასამართლო ხელისუფლების მიერ საზედამხედველო პროცესი სრულდება ოთხი ძირითადი მეთოდით, რომელთაგან სამი ეკუთვნის კონტროლის სფეროს. პირველი მეთოდის თანახმად, მარეგულირებელი კანონი ხშირად მოითხოვს დაზვერვის სამსახურებისგან, რომლებსაც აუცილებლობით სურთ განსაკუთრებული საგამოძიებო ზომების მიღება (მაგ.კავშირგაბმულობის საშუალების გაკონტროლება ან გადაჭერა), წინასწარ შესაბამისი უფლებამოსილების მოპოვებას მოსამართლისგან (თუმცა ეს მექანიზმი აშშ-ს „პატრიოტის აქტის“ მიღების შემდეგ შესუსტდა და რიგ შემთხვევებში დაზვერვას, სასამართლოს ნებართვის გარეშე შეეძლო ემოქმედა, მაღალი აუცილებლობიდან გამომდინარე) მეორე მეთოდის მიხედვით, ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლეებს შეუძლიათ ს.ს პროცესებზე დასწრება, სადაც განიხილავენ სადაზვერვო საქმიანობის შედეგად აღმოჩენილ სამართალდარღვევებსა და მასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ თუ სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სარჩელებს. მესამე მეთოდის მიხედვით, ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ.საფრანგეთი) მოსამართლე-გამომძიებლები, რომლებიც იმთავითვე წარმოადგენენ უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტებს, ზედამხედველობით კონტროლს ახორციელებენ სადაზვერვო სამსახურებთან დაკავშირებულ მიმდინარე გამოძიებებზე. და მეოთხე, მოსამართლეები პერიოდულად განმწესდებიან ზედამხედველობის ორგანოების წევრებად ან იკავებენ სპეციალურად შექმნილი შემსწავლელი კომისიების თავმჯდომარის პოსტს.

აღნიშნული მეთოდებიდან პირველი სამი მიიჩნეულია კონტროლის საშუალებებად, ვინაიდან ის, აპრიორში ანიჭებს მოსამართლეებს დაზვერვის სამსახურის მოქმედებების წარმართვის სპეციალურ უფლებამოსილებას. მეოთხე მეთოდი კი შედარებით შეზღუდულია და მასში ნაკლებად მოიაზრება სავალდებულო რეკომენდაციების გაცემის უფლებამოსილება.

ომბუდსმენის ინსტიტუტი

ომბუდსმენის ინსტიტუტებს საშუალება იმოქმედონ დამოუკიდებლად და კანონიერად, რაც გამოძიების ხელშემწყობი ინფორმაციის მოპოვებისთვის აუცილებელია. თუმცა, ხშირად მათ ძალიან ცოტა თანამშრომელი ჰყავთ იმისთვის, რომ სრულიად მოიცვან იურისდიქციის ასეთი ფართო სფერო, რაც ხშირად შეეხება არა მხოლოდ დაზვერვის უწყებას, არამედ სრულიად შეიარაღებულ ძალებსაც და მთელს მთავრობას. ამის შედეგად ომბუდსმენის ინსტიტუტები ხშირად ვერ ახერხებენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების და რესურსების გამოყოფას დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობისთვის. ომბუდსმენის როგორც დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს პასუხისმგებლობებია:[16]

- იგი ისმენს და განიხილავს საჩივრებს დაზვერვის სამსახურების წინააღმდეგ;
- წამოიწყებს დაზვერვის სამსახურის საქმიანობის შესახებ თემატურ გამოძიებებს.

აუდიტის უმაღლესი ორგანო

ომბუდსმენის ინსტიტუტების მსგავსად, აუდიტის უმაღლეს ორგანოებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ჩაატარონ დაზვერვის სამსახურების საქმიანობის გარე შემოწმებები. მათ ოთხი ძირითადი პასუხისმგებლობა გააჩნიათ, ისინი:

- აკვირდებიან სადაზვერვო საქმიანობის ფინანსურ ნაწილს;
- აფასებენ აღნიშნული სამსახურის საქმის წარმოების კეთილსინდისიერების და სიზუსტის ხარისხს,

[16] დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება, სახელმძღვანელო. ცხრილი 2. ჰანს ბორნი და აიდან უილისი. (2012 DCAF. ჟენევა)

- დანახარჯებზე შიდა კონტროლის გამართულობას;
- ადგენენ სამსახურის დანახარჯების შესაბამისობას არსებულ ძირითად რეგულაციებთან

ჩამოთვლილი პასუხისმგებლობების გარდა, აუდიტის უმაღლესი ორგანოები დანახარჯებსა და მათი გამოყენების შედეგიანობის ურთიერთმიმართებასაც ამოწმებენ, რათა კანონმდებლებმა და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებმა მიიღონ გადამოწმებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები დაზვერვის სამსახურების ბიუჯეტის ოპტიმალურად დაგეგმვისა და სამომავლო პრიორიტეტების სწორად განსაზღვრისთვის.

სამოქალაქო საზოგადოება და მასმედია

სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ზოგადი ცნება, მოიცავს ავტონომიურ (არასამთავრობო) ორგანიზაციებს, რომელიც არსებობს საჯარო სივრცეში კერძო გაერთიანებებს შორის და სახელმწიფო ინსტიტუტებში. ესენი არიან: არასათავრობო ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სხვადასხვა გავლენის ჯგუფები და რელიგიური ორგანიზაციები. დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობისს პროცესში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების უდიდესი უპირატესობაა ის, რომ მათ მიერ მთავრობის პოლიტიკის გაკრიტიკების შესაძლებლობები შეუზღუდავია.

ამ პროცესში, თავისი მნიშვნელოვანი წილი შეაქვს მედიას. მედია სუბიექტებიც იწვევენ დამოუკიდებელ ექსპერტებს, რათა მუდმივად ცირკულირებდეს მოსაზრებები, საზოგადოებაში, დაზვერვის სამსახურების მოქმედებების შესახებ. ჟურნალისტური გამოძიება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დაზვერვის სამსახურების არასათანადო ან უკანონო, და უშედეგო საქმიანობის გამოვლენაში. მსგავსი მანკიერებების გამოვლენისთანავე, ასეთი შემთხვევები ხშირად იქცევა ხოლმე ოფიციალური მოკვლევის საგნად, რომელსაც შემდგომში უკვე ხელმძღვანელობენ საპარლამენტო კომიტეტები ან სახვა დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოები, როგორიცაა ზემოთჩამოთვლილი კვალიფიციური ზედამხედველობის ორგანოები, ასევე ომბუდსმენის ინსტიტუტები და აუდიტის

უმაღლესი ორგანოები. თუ მედია საშუალებების ცნობებში არ გამახვილდება ყურადღება ხსენებულ საკითხებზე, ისინი მათ, სავარაუდოდ, არც არასოდეს გამოიძიებენ.[17]

მედია ცნობები ისეთ ცალკეულ საკითხებს აყენებს მთავრობის დღის წესრიგში, როგორიცაა უკანონო და არამართლზომიერი ქმედების გამოვლენა. მაგალითისთვის, „Washington Post's Top Secret America" სტატიათა სერიებში გამოქვეყნდა აშშ-ის დაზვერვის უწყებების უფლებათა გასაოცარი ზრდის შესახებ 2001 წლის 11 სექტემბერის თავდასხმების შემდეგ, რამაც გააღვივა საზოგადოებრივი დებატები და ეჭვქვეშ დააყენა ამგვარი ძალაუფლების მართებულობა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მიკერძოებული ჟურნალისტიკა, რომელიც გამოირჩევა პოლიტიზირების მაღლი ხარისხით, შესაძლოა ზიანის მომტანი აღმოჩნდეს ზოგადად ეროვნული ინტერესებისთვის განხორციელებისთვის და ცალსახად დაზვერვის სამსახურისთვის. დაზვერვაზე ზედამხედველობისას, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ძირითადი პასუხისმგებლობებია: [18]

- გულდასმით განიხილოს დაზვერვის სამსახურებისა და მათზე ზედამხედველობის ორგანოების მოქმედების წესები და ქმედებები;
- დაზვერვის სამსახურების არასათანადო, უკანონო და არაეფექტური ქმედებების სააშკარაოზე გამოტანა;
- საზოგადოებას აუწყოს დაზვერვის სამსახურების მიერ გატარებული პოლიტიკის, მოქმედებებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ;
- აწყობს საჯარო დისკუსიებს დაზვერვის სამსახურების პოლიტიკისა და მათზე ზედამხედველობის ორგანოების მუშაობის შესახებ.

[17] დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება, სახელმძღვანელო. გვ 19. ჰანს ბორნი და აიდან უილისი. (2012 DCAF. ჟენევა)

[18] დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება, სახელმძღვანელო. ცხრილი 2. ჰანს ბორნი და აიდან უილისი. (2012 DCAF. ჟენევა)

1.2. ინფორმაციის შეგროვების კონტროლი და მასზე ზედამხედველობის სპეციფიკა

დაზვერვის საფუძველს სხვადასხვა წყაროდან შეგროვებული ინფორმაცია წარმოადგენს. რადგან კონკრეტული საკითხის შესასწავლად, ერთი ან ორი წყაროსგან ინფორმაციის ანალიზი არ იძლევა ხოლმე სრულფასოვან სურათს შესაბამისი საგამოძიებო პროცესიის დროს, ამიტომ სპეცსამსახურები იყენებენ რამოდენიმე არხს ინფორმაციის მისაღებად, ესენია :

- ადამიანის დაზვერვა (HUMINT), როგორიცაა ინფორმატორები
- ე.წ რადიოელექტრონული დაზვერვა (SIGINT), როგორიცაა საკომუნიკაციო არხები
- ღია წყარების დაზვერვა (OSINT), მაგალითად, მედიის ცნობები.
- გამოსახულებითი დაზვერვა (IMINT), რომელიც მიმდინარეობს ძირითადად ფოტო/ვიდეო სატელიტების მეშვეობით

ინფორმაციის შეგროვების მეთოდები შეიძლება იყოს ღია სახის ან ფარული. ღია მეთოდები ყველაზე ხშირად გამოიყენება OSINT–ის ანუ ღია სადაზვერვო ინფორმაციის შესაგროვებლად, რადგან ეს ინფორმაცია ღიად ინახება და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ფარული, ანუ საიდუმლოებით მოცული, ინფორმაციის შეგროვება მიმდინარეობს მაშინ როცა დაზვერვის სამიზნე არა არის ინფორმირებული მის შესახებ ინფორმაციის შეგროვების შესახებ. ფარული მეთოდები შეიძლება შეიცავდეს ინფორმატორების გამოყენებას, ელექტრონულ თვალთვალს, კომუნიკაციების გადაჭერას, ფიზიკურ თვალთვალს და დისტანციურად შეგროვებულ ფოტომასალებს. როდესაც ასეთი მეთოდების გამოიყენებისას ირღვევა პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, მათ უწოდებენ „ოპერატიულ საძებრო ღონისძიებებს". თავად ტექნიკას უწოდებენ "სპეციალურ სამძებრო ღონისძიებებს".[19]

[19] Supervise intelligence services. Hans Bourne and Aidan Willis. Page 90. (2012. DCAF. Geneva)

გასაკვირი არ არის, რომ ინფორმაციის შეგროვება შეიცავს ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის მაღალ რისკებს, ამიტომ აღნიშნულ საკითხს საერთაშორისო ორგანიზაციებიც დიდ ყურადღებას აქცევენ უსაფრთხოების გლობალური სექტორის კონტექსტშიც.

სადაზვერვო სამსახურები აგროვებენ ინფორმაციას აღმასრულებელი თანამდებობის პირების დასახმარებლად მათი პოლიტიკის შემუშავებაში შესაბამისად სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისას ეს ინფორმაცია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ინფორმაციის შეგროვების გზა უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების პრიორიტეტებსა და ღირებულებებს. წესისამებრ, დემოკრატიულ ქვეყნებში სადაზვერვო სამსახურებმა უნდა პატივი სცენ ადამიანის უფლებებს, წესს ან კანონს, ასევე დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს, მათ შორის ანგარიშვალდებულებას, გამჭვირვალობას და ერთობლივ გადაწყვეტილებებს.

თუ სახელმწიფოს მიერ წარმოებული ოპერატიულ-სამძებრო მეთოდები პოლიტიკურად ან/და კონსტიტუციურად დელიკატური საკითხია, მათი გამოყენება დაზვერვის სამსახურების მხრიდან სიფრთხილის მაქსიმალური დაცვით ხდება. სიფრთხილის დაცვის მიზეზები ჩამოთვლილია ქვემოთ, კერძოდ:

- გამოძიების სამიზნემ შესაძლოა ვერ შეიტყოს ოპერატიულ-სამძებრო მეთოდების გამოყენების შესახებ და აქედან გამომდინარე ვერ გაასაჩივროს მათ შესახებ ან სასამართლოში ან დააყენოს მათი ვალიდურობა ეჭვქვეშ.
- ოპერატიულ-სამძებრო მეთოდების საიდუმლოების მაღალი დონე ამცირებს ზედამხედველობის ორგანოების შესაძლებლობას განახლორციელონ მონიტორინგი აღნიშნულ პროცესს და აღმოაჩინონ შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებები და დარღვევები.
- ოპერატიულ-სამძებრო მეთოდების გამოყენებისას ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის მასშტაბმა შესაძლოა ბევრად უფრო მეტად გადააჭარბოს არსებულ საჭიროებას.
- იმის გარდა, რომ ირღვევა სამიზნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ოპერატიულ-სამძებრო მეთოდები ხშირად ხელყოფს იმ ადამიანთა

უფლებებს, რომლებსაც სამიზნესთან აქვს შემთხვევითი ან მიზანმიმართული კონტაქტი მიუხედავად იმისა არიან თუ არა ისინი გამოძიების სამიზნეები.

- სამიზნის და მათთან დაკავშირებული პიროვნებების შესახებ არსებული საიდუმლო ინფორმაცია ინახება დაზვერვის სამსახურების არქივში გამოძიების დამთავრების შემდეგაც და რიგ შემთხვევებში სხვა მიზნებისთვისაც გამოიყენება.[20]

ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა

დაზვერვის სამსახურების მიერ ყველაზე ხშირად ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ირღვევა ან/და იზღუდება. შესაბამისად, დაზვერვაზე ზედამხედველობის ორგანოების ძირითადი ფუნქციაა იმის უზრუნველყოფა, რომ დაზვერვის სამსახურების მიერ ინფორმაციის შეგროვების მეთოდები თავსებადია ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, რომელიც შეეხება ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებს.

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა საკითხებში, ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში, განმარტა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, „რომ ინდივიდუალებს უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებლად განვითარების არეალი, ანუ „პირადი სივრცე“ როელიც ხასიათდება სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედების შესაძლებლობით და ასევე მის გარეშე. ის უნდა იყოს თავისუფალი არასასურველი პირების არასაჭირო ჩარევისგან.“

დაზვერვის სამსახურის მიერ ინფორმაციის შეგროვების ფარული, ან საიდუმლო მეთოდების გამოყენება წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდავს. ამიტომაც, აუცილებელია, რომ აღნიშნული მეთოდების გამოყენების ყველა შემთხვევა ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული

[20] დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება, სახელმძღვანელო. გვ 128. ჰანს ბორნი და აიდან უილისი. (2012 DCAF. ჟენევა)

უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდეს, რაც კონკრეტული და კანონიერი მიზნის მისაღწევადაა განსაზღვრული.

ინფორმაციის შეგროვების ოპერაციებზე ზედამხედველობის განხორციელება

ზედამხედველობა მოიცავს დაზვერვის სამსახურის მიერ ჩატარებული ოპერაციების მიმოხილვას, რათა დადასტურდეს ასეთ ოპერაციებზე ნებართვის გაცემის აუთენტურობა. მხოლოდ ასეთი ზედამხედველობის არსებობის შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ ინფორმაციის შეგროვების ოპერაციები რეგულირდება და მათზე ზედამხედველობა არის ეფექტური.

როგორც წინა თავებში ვახსენეთ, დაზვერვაზე ზედამხედველობა ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ. ამ შემთხვევაშიც, ანუ ინფორმაციის შეგროვების ოპერაციებზე ზედამხედველობაც ევალებათ ნახსენებ ზოგიერთ ორგანიზაციას, მაგალითად: აუდიტის უმაღლეს ორგანოს და ომბუდსმენის ინსტიტუტს. მათ თავიანთი ფართო მანდატით მინიჭებული აქვთ ზედამხედველობის განხორციელების უფლება. ხოლო სხვებს, როგორიცაა მაგალითად: გენერალური ინსპექტორი გააჩნია სპეციალური მოკვლევის ჩატარების უფლება, რაც მათ სპეციფიური მანდატის ფარგლებში ზედამხედველობის გაწევის საშუალებას აძლევს. არაერთი ქვეყანა ზედამხედველობის პროცესის ციკლს ანაწილებს სხვადასხვა იურიდიულ ერთეულზე, რომელთა იურისდიქცია გარკვეული ვარიაციებით ხარისხით ფარავს ერთმანეთს.

აშშ-ს კონგრესის დაზვერვაზე ზედამხედველობის კომიტეტები პასუხისმგებელი არიან ინფორმაციის შეგროვების სამართლებრივი საფუძვლების დადგენაში. მათ მოვალეობაში შედის მონიტორინგის გაწევა, დაზვერვის ოპერაციების დადგენილ კანონებთან თავსებადობაზე. ინფორმაციის შეგროვების ოპერაციებთან დაკავშირებით ჩარჩის და პაიკის კომიტეტებს ევალებათ:

- გაუწიონ ზედამხედველობა ფარული ოპერატიულ-სამძებრო მეთოდების გამოყენებას
- ასევე მათი მოვალეობაა ბიუჯეტის შედგენის და შესაბამისი ფონდების გამოყენებაზე მონიტორინგის განხორციელება.

- შეისწავლონ ასეთი ოპერაციების სამართლებრივი საფუძვლები, რომლის მიზანია შემოწმდეს თუ რამდენად უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებები.
- უზრუნველყონ აშშ-ს დაზვერვის სამსახურების სამართლებრივ საფუძვლებთან თავსებადობა.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე კომიტეტებს მინიჭებული აქვთ ის უფლებამოსილებები, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს განიხილონ კონკრეტული ოპერატიულ-სამძებრო ოპერაციები და მათი სამართლებრივი მიზანშეწონილობა.

1.3 დაზვერვის სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემების გამოყენების რისკები და სამართლებრივი საფუძვლები

სადაზვერვო სამსახურებს გააჩნიათ ლეგიტიმური საფუძვლები, მათზე მინიჭებული იურიდიული მანდატების გათვალისწინებით, შეაგროვონ, შეინახონ და გაამჟღავნონ პერსონალური მონაცემები. პირები, რომლებსაც ეს ინფორმაცია შეეხება, შეიძლება იყოს გამოძიების ლეგიტიმური სამიზნე, მაგალითად, ჯაშუშობაში ან ტერორიზმში მისი შესაძლო მონაწილეობის ეჭვის გამო.

ოპერაციების მსვლელობისას არსებობს პერსონალური მონაცემების ჭარბად შეგროვების მუდმივი საშიშროება. იმის დადგენა, არის თუ არა ეჭვმიტანილი ჩართული ტერორისტულ საქმიანობებში, ცხადია ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ შეგროვებული ინფორმაცის საფუძველზე მიღებული პასუხი უარყოფითი იყოს. ამიტომ, პირველადი ინფორმაციის შეგროვება არ შეიძლება ჩაითვალოს არამართებულად. მას შემდეგ, რაც სამსახური ადგენს, რომ ინდივიდუალური პირი არ არის ჩართული, ინფორმაციის შეგროვება უნდა შეწყდეს „მაშინვე, როგორც კი

მიაღწევს მიზანს ან, თუ არსებობს მინიშნებები, რომ მიზანი საერთოდ არ მიიღწევა ან არსებული რესურსები არ არის საკმარისი“[21]

ხშირად ამტკიცებენ, რომ დაზვერვის სამსახურების მიერ ინფორმაციის შენახვა, კლასიფიცირება, ანალიზი უსაფრთხო და უწყინარია. ხოლო, პერსონალური მონაცემების შეკრება უფრო აშკარა საფრთხეს შეიცავს. მისი შენახვა პოტენციურად საშიშია, რადგან პერსონალური მონაცემები მჭიდროდ არის დაკავშირებული პიროვნების ავტონომიასთან.

შესაძლებელია, რომ დაზვერვის სამსახურების მიერ პერსონალური მონაცემები არამართებულად იქნეს გამოყენებული პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებზე ზეწოლისთვის. საკმარისია თუნდაც იმის ცოდნა, რომ აღნიშნული სამსახურები ფლობენ პერსონალურ მონაცემებს, ხშირად ფსიქოლოგიურად შემაწუხებელია მონაცემთა სუბიექტებისთვის, ვინაიდან ის პრაქტიკულად კომპრომეტირებულია, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ინფორმაცია არასდროს გამჟღავნდება. ანალოგიურად, სამოქალაქო საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობის სურვილი შესაძლებელია შეაფერხოს იმის ცოდნამ ან ეჭვმა, რომ ინფორმაცია პიროვნების პოლიტიკური, სამრეწველო თუ საზოგადოებრივი აქტივობების შესახებ ინახება უშიშროების სამსახურის მასალებში.

ამას გარდა, დაზვერვის სამსახურების ხელთ არსებული პერსონალური მონაცემები შესაძლებელია იყოს მიკერძოებული, არასწორი ან მოძველებული. ხშირ შემთხვევებში არსებობს ვარაუდები, რომ ამ ინფორმაციების მოპოვება განხორციელდა ისეთი წყაროების მიერ, რომლებსაც ამოძრავებდათ მიზანმიმართული სურვილი ზიანი მიეყენებინათ სამიზნე პირისათვის პიროვნული მტრობისა და შურის გამო. ანალოგიურად, წყაროებს, რომლებსაც აქვთ ფულადი ჯილდოს მიღების მოტივაცია, შესაძლებელია გააზვიადონ ან დაამახინჯონ ფაქტები.

პერსონალური მონაცემების კონსერვაციასთან დაკავშირებულია ასევე სხვა რისკებიც, როგორიცაა: დაზვერვის სამსახურების უპრეცენდენტო შესაძლებლობა, მაღალი

[21] დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება, სახელმძღვანელო. გვ 168. ჰანს ბორნი და აიდან უილისი. (2012 DCAF. ჟენევა)

მისაწვდომობის მეშვეობით დააკავშირონ ინფორმაცია ინდივიდუალური პირის შესახებ, რომელიც სხვამხრივ შეიცავს ცალკეულ მონაცემებს სამედიცინო არქივის და საგადასახადო ოპერაციების შესახებ

აშშ-ში მიღებული „პატრიოტის აქტის“ შემდგომ, მსგავსი პროცედურები დაზვერვის სამსახურებისთვის გამარტივდა ხოლო მათზე ზედამხედველობა კი შესუსტდა, ვგულისხმობთ იმას, რომ NSA-ის ანალიტიკოსის ედვარდ სნოუდენის, 2013 წლის საჯარო განცხადებების შემდეგ, საზოგადოებრივმა სექტორმა და მედიამ დაიწყო გაცხადებული ფაქტების გამოძიება, რის შემდეგაც, აშშ მთავრობამ ვეღარ დამალა არსებული რეალობა და დღეისთვის უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ სისტემური პროგრამა „TEMPORA“ (ბრიტანელების სადაზვერვო პროგრამის ანალოგი,რომლის გამოყენებაც აშშ კანონმდებლობით აკრძალული იყო) ავტომატურ რეჟიმში აგროვებდა ყველა ამერიკელის ინფორმაციას, როგორც პირადი გადახდების და ტრანზაქციების ნაკადებს, აგრეთვე მათ სატელეფონო ჩანაწერებსაც. დამტკიცებულია, რომ ამერიკული სატელეკომუნიკაციო საშუალებების და მათ შორის გიგანტი ორგანიზაციების Google-ის და Facebook-ის მონაცემთა ბაზები აკუმულირდებოდა “TEMPORA -ში. ყოველივე თქმულის მოტივად კი ცხადია დასახელებული იყო ანტიტერორისტული ოპერაციები და შესაძლო თავდასხმების პრევენცია. თუმცაღა, ეს არ გამორიცხავდა ადამიანის უფლებების მასობივ დარღვევის შესაძლებლობას, ვინაიდან სადაზვერვო საზოგადოება პრაქტიკულად ყველა მოქალაქის პირად და მათ შორის სხვა დელიკატურ ინფორმაციას აგროვებდა. შესაბამისად, გამოძიების რეალურ სამიზნეზე ოპერაციის განხორციელებისას, იმ პირებზეც აქტიურად გროვდებოდა ინფორმაცია ვინც მათთან სრულიად შემთხვევით კავშირში აღმოჩნდებოდა.

ცხადია ამ საკითხის განხილვისას ერთ მხარეს დგას ქვეყნის ეროვნული ინტერესები, რომლის უზრუნველყოფაც დაზვერვის სამსახურების აქტიური მოვალეობაა, თუმცა საერთაშორისო კანონმდებლობით ოპერაციის მსვლელობისას ადამიანის უფლების დარღვევის ფაქტები მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი (ვინაიდან ასეთი ოპერაციები ავტომატურად მაინც გულისხმობს პირად ცხოვრების შესახებ

ინფორმაციის მოძიებას) თუმცა ფაქტია, რომ ასეთი მასშტაბით ადამიანის უფლებების დარღვევა ურეცედენტო იყო.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს უსაფრთხოების სექტორში მოქმედი აქტორების მიერ განხორციელებული საქმიანობის სამართლებრივი მიზანშეწონილობა. დაზვერვის სამსახურების საქმიანობა უნდა იყოს როგორც დემოკრატიული, ასევე ეფექტური, რაც თანამედროვე სახელმწიფოების და მათ შორის აშშ-ის წინაშე მდგარი ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. ამას განაპირობებს დაზვერვის საქმიანობის სპეციფიკა, რომელიც მოიცავს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, თუმცა აშშ-ში მიღებულმა „პატრიოტის აქტმა“ ნათლად გამოავლინა ის ხარვეზები, რაც გააჩნია დაზვერვის სფეროს სამართლებრივ ნაწილს. ხოლო აშშ-თვის აღნიშნული პრობლემები არაერთი პოლიტიკურ დანაკარგად იქცა. აღსანიშნავია ისიც, რომ შეერთებული შტატების სადაზვერვო საზოგადოების როლი, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, დღეის მდგომარეობით უპრეცედენტოა.

- რას წარმოადგენს აშშ უსაფრთხოების სამსახურების ძირითადი ფუნქცია და რა არის მისი მახასიათებლები?

აშშ-ს უსაფრთხოების სექტორს წარმოადგენს, 1981 წელს შექმნილი აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოება, რომელშიც გაერთიანებულია 17 სხვადასხვა ფუნქციონალის ორგანიზაცია. მათ მრავალფეროვან პასუხისმგებლობათა შორის აღსანიშნავია რომ, „აშშ დაზვერვის საზოგადოების“ წევრები აწარმოებენ საგარეო და საშინაო დაზვერვას, მონაწილეობას იღებენ სამხედრო დაგეგმარებებში და ასრულებენ ჯაშუშობის ოპერაციებს.

აშშ სადაზვერვო საზოგადოება არის აღმასრულებელი ფილიალების სააგენტოებისა და ორგანიზაციების ერთგვარი ფედერაცია, რომლებიც მუშაობენ, როგორც ცალკე ასევე ერთობლივად საგარეო ურთიერთობების წარმართვისთვის და შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად, შესაბამისი სადაზვერვო საქმიანობის წარმოებით. სადაზვერვო საზოგადოება ფოკუსირებულია კიბერ დაზვერვის მისიის, ანტიტერორიზმის, კონტრდაზვერვისა და სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მიერ განხორციელებულ საფრთხეებზე, რომლებიც მიმართულია აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების და ინტერესების წინააღმდეგ მთელს მსოფლიოში.

- რატომ არის მნიშვნელოვანი უსაფრთხოების სექტორზე ზედახმედველობა?

აშშ-ს უსაფრთხოების სექტორი მოიცავს რამოდენიმე ორგანიზაციას, მათ შორის დაზვერვის სამსახურებს, შესაბამისად მათზე საზოგადოებრივი კონტროლი უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან გასაიდუმლოებული აქტივობებით მათი საქმიანობა უმეტესწილად საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება. მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა, განსაკუთრებით კი მთავრობამ, ყურადღებით ადევნოს თვალყური დაზვერვის სამსახურების საქმიანობას. მოგეხსენებათ, რომ უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურებს განსაკუთრებული ძალაუფლება გააჩნიათ. მაგ: პირად საკუთრებაში ან საკომუნიკაციო საშუალებებში ჩარევის შესაძლებლობა, რითაც შესაძლოა შეიზღუდოს ან აშკარად დაირღვეს ადამიანის უფლებები. ამიტომ იგი წინასწარ განსაზღვრული, დარგის სპეციალისტებით დაკომპლექტებული საზედამხედველო ინსტიტუტების მიერ მონიტორინგის განხორციელებას ექვემდებარება.

- რა გარემოებები აფერხებს აშშ-ს დაზვერვის სამსახურებზე, ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებას?

გარდა ტექნიკური საკითხებისა, რაც შესაძლოა შემაფერხებელი იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესების გამო. მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს აშშ-ს სამსახურებზე ზედამხედველობის კუთხით წარმოადგენს, არაკეთილსინდისიერი ვიწროპარტიული ინტერესების რეალიზაციის მცდელობა, სხვადასხვა პოლიტიკური

ძალების მხრიდან. ნაშრომში განვიხილეთ, სხვადასხვა საზედამხედველო საპარლამენტო კომიტეტების როლი, ამ პროცესებში. თუმცა ისტორია ცხადყოფს, რომ მიუხედავად წარმატებებისა, დღემდე არსებობს მრავალი უთანხმოება პოლიტიკურ წრეებში, სადაზვერვო ოპერაციების საკომიტეტო კანხილვებთან დაკავშირებით.

- რა გავლენა აქვს ინფორმაციის შეგროვებას ადამიანის უფლებებზე?

დაზვერვის სამსახურების მიერ ყველაზე ხშირად ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ირღვევა ან/და იზღუდება. შესაბამისად, დაზვერვაზე ზედამხედველობის ორგანოების ძირითადი ფუნქციაა იმის უზრუნველყოფა, რომ დაზვერვის სამსახურების მიერ ინფორმაციის შეგროვების მეთოდები თავსებადია ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, რომელიც შეეხება ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებს.

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა საკითხებში, ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში, განმარტა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, „რომ ინდივიდუალებს უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებლად განვითარების არეალი, ანუ „პირადი სივრცე“ რომელიც ხასიათდება სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედების შესაძლებლობით და ასევე მის გარეშე. ის უნდა იყოს თავისუფალი არასასურველი პირების არასაჭირო ჩარევისგან.“

დაზვერვის სამსახურის მიერ ინფორმაციის შეგროვების ფარული, ან საიდუმლო მეთოდების გამოყენება წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდავს.

კვლევის შედეგი: ნაშრომის დასაწყისში დასმული H(1) ჰიპოთეზა კვლევის შედეგად არ დადასტურდა. ვინაიდან საკითხის შესწავლისას და მისი კონცეპტუალური ანალიზისას დამტკიცდა, რომ კონსპიროლოგიური თეორიები „აშშ-ს როგორც მთავარი მოთვალთვალის“ შესახებ ხშირ შემთხვევაში გაზვიადებულია, ვინაიდან საკითხზე მუშობისას და სხვადასხვა დოკუმენტაციის გაცნობისას, დადასტურდა, რომ დაზვერვაზე ზედამხედველობის მასშტაბები შეერთებულ შტატებში საკმაოდ დიდია

და ყველა ჩამოთვლილი ორგანიზაცია, აქტიურ საზედამხედველო როლს ასრულებს. კვლევის მიმდინარეობამ აჩვენა, რომ არ მოიძებნა მკაფიო შემთხვევა ან პრეცედენტი საზედამხედველო ორგანოების მუშაობის ჩავარდნის შესახებ.

კვლევის შედეგად დადასტურდა H(2) ჰიპოთეზა. „პატრიოტის აქტმა“ ნამდვილად მიანიჭა დაზვერვის სამსახურებს ის უფლებამოსილებები, რომლების ითვალისწინებდა კანონის ბარიერების შესუსტებას, სპეციალური ოპერაციების წარმოებისას. ამასთან, 2005 წლის შემდეგ, გაგრძელდა ამ აქტის 6 მუხლის მოქმედება, რომლის ირგვლივ მწვავე კამათი მიმდინარეობდა მისი განხილვის და დამტკიცების დღიდან და გრძელდება დღემდე. ამასთან, მას შემდეგ გაძლიერდა, დაზვერვის სამსახურებზე, როგორც საპარლამენტო კონტროლი ასევე გაიზარდა სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობითი როლი.

გამოყენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ძალთა ბალანსის თეორია - განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე და მის სურვილზე, რომელიც უსაფრთხოების დოქტრინაში მკაფიოდაა განსაზღვრული, შეასრულოს მთავარი როლი გლობალური უსაფრთხოების ფორმირების პროცესში. ხოლო დაზვერვის სამსახურები როგორც ქვეყნის შიგნით, ისევე გარე პროცესების მიმდინარეობისას „დამრტყმელ ძალას“ წარმოადგენენ.

თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია - გამოყენებულია უშუალოდ აშშ-დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო საქმიანობებში თანამშრომლობის კონტექსტში.

,,სექიურითიზაციის კონცეფცია“ - რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობას სახელმწიფოებრივ პროცესებში, გამოყენებულია სწორედ სამოქალაქო სექტორის როლის აღწერისთვის, დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის პროცესში.

საგარეო პოლიტიკის ბიუროკრატიული თეორია - განიხილავს იმ ძირითადი ეროვნული უსაფრთხოებისა და სადაზვერვო სტრუქტურების საქმიანობას, რომლებიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში მონაწილეობენ.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია - თავის მხრივ აღწერს იმ პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოსა და საზოგადოების საგარეო და საშინაო უსაფრთხოებაზე. შესაბამისად აღნიშნული კონცეფცია გამოყენებულია, ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების გარემოს შეფასებისთვის, მისი უსაფრთხოების დოქტრინის ანალიზის საფუძველზე

შეიარაღებული ძალების ოთხი ამოცანის თეორია - გამოყენებულია აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოებაში არსებული შეიარაღებული ძალების კომპონენტიზაციის, კერძოდ აშშ-ს თავდაცვის ძალების ოთხი ელემენტის აღწერისთვის. ვინაიდან საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას, დაზვერვის სამსახურები ხდებიან, შეიარაღებული ძლების განუყოფელი ნაწილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დაზვერვის ანგარიშვალდებულების დანერგვა: სადაზვერვო სამსახურებზე ზედამხედველობის სამართლებრივი სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა. გვ17. ჰანს ბორნი და იან ლი. (2005წ. ოსლო)Publishing house of the Parliament of Norwey.
2. დაზვერვის სამსახურებზე ზედამხედველობის განხორციელება, სახელმძღვანელო. გვ9. ცხრილი 2. ჰანს ბორნი და აიდან უილისი. (2012 DCAF. ჟენევა)
3. Frederic Manget, „Another system of oversight: intelligence and the rise of judicial intervention," in Strategic intelligence: A window into a secret world, eds. Loch Johnson and James Wirtz (Los Angeles: Roxbury, 2004)
4. Ian Leigh, „National courts and international intelligence cooperation," in International intelligence cooperation and accountability, eds. Hans Born, Ian Leigh, and Aidan Wills (London: Routledge, 2011)
5. National Security Agency/Central Security Service – Transition 2001. NSA/CSS manual 123. December 2000.
6. NSS of the United States of America. DECEMBER 2017. The White House. Washington DC.
7. Permanent Record - Edward Snowden. Head 18 . First published in the UK 2019 by Macmillan.
8. US National Security: Policymakers, Processes & Politics FOURTH EDITION Sam C. Sarkesian, John Allen Williams, and Stephen J. Cimbala Copyright © 2008. Lynne Rienner (publishers)
9. Supervise intelligence services. Hans Bourne and Aidan Willis. Page 6. (2012. DCAF. Geneva)
10. The National Security Act of 1947 – July 26, 1947 Public Law 253, 80th Congress